გარეჯის ძვლევის ცენტრი

შრომები

III

Proceedings

GAREJA STUDIES CENTRE

2006

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

წიგნი დაიბეჭდა ბანკ „რესპუბლიკას“ ფინანსური მხარდაჭერით
Книга напечатано при финансовой поддержке Банка "Республика"
The book was published with the financial support of Bank "Republic"

პირველი გამოცემა
გარეჯის კვლევის ცენტრი
2006 წ.

საავტორო უფლებები დაცულია
ამ გამოცემის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმით და საშუალებით, იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური, მათ შორის ფოტოპირის გადაღებით და მაგნიტურ მოწყობილობაზე ჩაწერით, არ შეიძლება გამოყენებულ ან გადაცემულ იქნას საავტორო უფლების მფლობელის წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე

დაკაბადონება და ბეჭდვა შპს *სი-ჯი-ეს*

Первое издание
Центр по изучению Гареджи
2006 г.

Защищено законом об авторском праве
Ни одна часть этого издания —
ни в какой форме, будь то электронный или механический вариант,
в том числе фотокопия или запись на магнитном устройстве, —
не может быть использована или передана без письменного разрешения владельца авторского права.

Вёрстка и печать ООО Си-Джи-Эс

First published in 2006
by
Gareja Studies Centre

All rights reserved.
No part of this publication may be reproduced or transmitted in any form or by any means electronic, mechanical, photocopying, recording or otherwise, without the prior permission of the publisher.

Designed and printed in CGS Ltd.

© გარეჯის კვლევის ცენტრი, 2006
Центр по изучению Гареджи, 2006
Gareja Studies Centre, 2006

01.09.06

ISBN 99940-0-954-0

გარეჯის კვლევის ცენტრი

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული
სიწმინდეთა მოძიებისა და დაცვის განყოფილება

ზაზა სხირტლაძე

წმ. დავით გარეჯელის განსასვენებელი

ზურაბ თვალჭრელიძის, მამუკა კიკნაძის,
ქეთევან აბაშიძის, თეიმურაზ ბერიძის, ნიკოლოზ დადიანის
მონაწილეობით

თბილისი
2006

გარეჯის მრავალმთის სამონასტრო გაერთიანების უპირველესი სალოცავი – მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესია და წმ. დავით გარეჯელის დასაკრძალავი ასწლეულების მანძილზე ქრისტიანული საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს სიწმინდედ, მომლოცველობის უმნიშვნელოვანეს ადგილად რჩება. ღირსი მამის ცხოვრებიდან ცნობილია, რომ ეკლესია წმინდანის სამყოფელი ქვაბის მოპირდაპირე მხარეს მის სიცოცხლეშივე შეუქმნიათ რუსთავის ერისთავის, ახლადმოქცეული ბუბაქარის თაოსნობით:

„და ვითრცა ნათელ-იღო ბუბაქარ, კუალად მოვიდა წინაშე წმიდისა დავითისსა შვილი იგი ნათლისაჲ. და თანა მოატანნა სათხარნი და მუშაკნი და შეუქმნა ეკლესიაჲ სალოცველად ძმათა, რომელი-იგი უკუანაჲსკნელ წმიდამან და ღმერთ-შემოსილმან ილარიონ განავრცელა და აკურთხა, რომელსა შინა სამხრით კერძო ეკლესიასა მას შექმნა ლუსკუმაჲ შუენიერი, რომელსა შინა დაკრძალულ არიან ნაწილნი წმიდისა მამისა ჩუენისა დავითისნი. და ვიდრე აქამომდე სამარხოჲსა მისგან აღმოდის სული სურნელებისაჲ და ყოველთა, რომელთა სარწმუნოებით მიიღონ მტუერი სამარხოჲსა მისგან წმიდისა, ჰკურნებს ყოველსა სენსა და უძლურებასა კაცთასა.“[1]

წმ. დავით გარეჯელის დასაკრძალავის ისტორია განუყოფლადაა დაკავშირებული მრავალმთის სამონასტრო გაერთიანებაში სამოწესეო ცხოვრების მრავალასწლოვან გეზთან – ქრისტიანულ კავკასიაში მომლო-

1. *ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა დავით გარესჯელისა ჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I (V-X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჯანკოევმა და ც. ჯღამაიამ, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით* (თბილისი, 1963), გვ. 236.

ცველობის ამ ერთ-ერთ უდიდეს ცენტრს აღმავლობა-განახლებასთან ერთად ბევრჯერ სწვევია განსაცდელიც. წმ. დავითის ლავრისა და თავად ღირსი მამის განსასვენებლისათვის განსაკუთრებით მძიმე XX საუკუნის ძნელბედობა აღმოჩნდა. მრავალმთის სამონასტრო გაერთიანების ცენტრი და სამოწესეო ცხოვრების დამფუძნებლის იქ არსებული სამარხი დაზიანდა და სრულიად მიტოვებულ იქნა. მოგვიანოდ, 1960-იან წლებში, წმ. დავითის ლავრაში ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების დროს, სამარხის თავზე მოწყობილი ლუსკუმა ნაწილობრივ ამოშენდა და ბეტონის ხსნარით გადაილესა. სწორედ ამ სახით მოაღწია წმინდანის განსასვენებელმა ბოლო ხანებამდე.

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს სიწმინდეთა დაცვისა და მოძიების განყოფილების მიერ, გარეჯის მრავალმთის წმ. დავითის ლავრის მთავარ, მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიაში წმ. დავით გარეჯელის ლუსკუმის განახლება-გამშვენების სამუშაოების დაწყებამდე გადაწყდა ღირსი მამის დასაკრძალავის გაწმენდა. გაწმენდითი სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა ცხადი გახდა მას შემდეგ, რაც გადაწყდა სამარხზე ახალი ქვის ფილის დასადებად საყრდენი საფუძვლის მდგრადობის შემოწმება. მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიაში ჩასატარებელ გაწმენდით სამუშაოებს, გარდა საკუთრივ პრაქტიკული მიზნებისა, გააჩნდა დიდი სამეცნიერო მნიშვნელობაც; სახელდობრ, იქმნებოდა რეალური პირობები, რათა მოპოვებული მასალებისა და წერილობით წყაროებში დაცული ცნობების შეჯერების საფუძველზე ნათელქმნილიყო წმ. დავით გარეჯელის განსასვენებლის შესახებ არსებულ ადგილობრივ სამონასტრო გადმოცემებთან დაკავშირებული საკითხები. ყოველივე ამას, თავის მხრივ, მიემართება გარეჯის მრავალმთაში სამონასტრო მოძრაობის საწყისი ეტაპის კარდინალურ პრობლემათა მთელი რიგი.

ღირსი მამის ლუსკუმის გახსნა 2000 წლის 11 ივნისს დაიწყო. სამუშაოები გარკვეული ხნით შეწყდა პეტრე-პავლობის მარხვის დროს და განახლდა 22 ივლისს. წმ. დავით გარეჯელის სამარხის გაწმენდითი არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა გარეჯის უდაბნო-მონასტრების არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის, არქეოლოგ ზურაბ თვალჭრელიძის უშუალო მეთვალყურეობით. სამუშაო პროცესში მონაწილეობდნენ: საქართველოს საპატრიარქოს სიწმინდეთა დაცვისა და მოძიების განყოფილების წევრები – თეიმურაზ ბერიძე, ნიკოლოზ დადიანი, ქეთევან აბაშიძე; გარეჯის კვლევის ცენტრის თანამშრომლები – ზაზა სხირტლაძე და მამუკა კიკნაძე. გაწმენდით

სამუშაოებში უშუალოდ იყო ჩართული წმ. დავითის ლავრის ძმობა იღუმენ (ამჟამად საგარეჯოს და ნინოწმინდის ეპისკოპოსის) ლუკას წინამძღვრობით; ლუსკუმა იწმინდებოდა იმხანად მონასტერში მყოფი დეკანოზ პეტრეს (ბარამიძე) მიერ. ჩატარებულ სამუშაოთა ფოტოფიქსაცია განახორციელეს ზ. სხირტლაძემ და ნ. დადიანმა; ანაზომები შეასრულა მ. კიკნაძემ; გაწმენდის პროცესი ვიდეოფირზე აღბეჭდა ნ. დადიანმა. ლუსკუმაში აღმოჩენილი ნივთიერი მასალის ნაწილი, წმ. დავითის ლავრის ძმობის ნებართვით, გადმოტანილ იქნა თბილისში; ამჟამად ეს მასალა დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდში (მცველი – ზ. თვალჭრელიძე).[2]

მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიაში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა ნათელყო წერილობით წყაროთა და ადგილობრივ საეკლესიო გადმოცემათა შესაბამისობა.

წმ. დავით გარეჯელის ლუსკუმა მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, საკურთხეველთან მიჯრით შექმნილ მაღალ, თაღოვან უბეშია განთავსებული (სურ. 4-6, 48). ბოლო დრომდე იგი ბეტონით იყო გადალესილი. როგორც აღინიშნა, ღირსი მამის ლუსკუმა ბეტონით XX საუკუნის 60-იან წლებში, წმ. დავითის ლავრაში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების დროს გადაილესა. როგორც ჩანს, დასაკრძალავი იმხანადვე იქნა მცირედ ამაღლებული, ამასთან მიწითა და სამშენებლო მასალით შევსილი.

---

2. წმ. დავითის განსასვენებელში დადასტურებული ბათქაშის ფრაგმენტების, აგრეთვე ფერისცვალების ეკლესიის სამშენებლო ფენების ნიმუშთა პეტროგრაფიული ანალიზი შესრულებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრის პროფესორის, აკად. ნიკოლოზ სხირტლაძის მიერ, ხოლო სპექტრალური ანალიზი - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალ. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიური ინსტიტუტის ფიზიკურ-ქიმიური კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერთანამშრომლის, გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის, რობერტ ახვლედიანის მიერ. მადლიერების გრძნობით გვინდა აღვნიშნოთ იმ დიდი დახმარების შესახებ, რომელიც აღმოგვიჩინა გეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მირიან თოფჩიშვილმა, აგრეთვე იმავე ინსტიტუტის სწავლულმა მდივანმა, გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა გიორგი ვაშაკიძემ. შლიფები შეასრულა გიორგი კემულარიამ.

სწორედ ამიტომ იყო, რომ შელესილობის საბურველის ქვეშ, ლუსკუმის ზედა მონაკვეთზე მრავლად დადასტურდა მიწის ფენაში არეული აგურის ნატეხები და ქვითკირის ნალესობის ფრაგმენტები.

(განსასვენებელში დადასტურებული კულტურული ფენა 130 სმ. აღწევდა. იგი შეიცავდა განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების, ასევე XIX–XX საუკუნეების ნივთიერ მასალას – კერამიკის, ხის, მინისა და ლითონის ფრაგმენტებს (იხ. კატალოგი; სურ. 65_{1-15}). ფენები სამარხის მთელს პერიმეტრზე არეული იყო და ისინი ერთიან ქრონოლოგიურ ვერტიკალში თანმიმდევრობით ფაქტობრივად არ იკითხებოდა.) კერძოდ, გვიანდელი პერიოდის მასალები (სახელდობრ, კერამიკის ფრაგმენტები) დაფიქსირდა ლუსკუმის სიღრმეში, დასაკრძალავი ორმოს ზედაპირის დონეზე. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ მოწმობდა, რომ განსასვენებლის ზედა მონაკვეთს (სახელდობრ, არეს ლუსკუმის გადასახური ფილების პირველი რიგის ზემოთ), ასწლეულების მანძილზე (თვით ბოლო დრომდეც კი) არაერთხელ უნდა შეხებოდნენ.

ბეტონის საბურველის მოხსნისა და დასაკრძალავის სრული სახით გაწმენდის შედეგად ჩვენს წინაშე ასეთი სურათი წარმოჩნდა:

(ღირსი მამის დასაკრძალავი აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე დამხრობილ,[3] კლდეში ამოკვეთილ ლუსკუმას წარმოადგენს (სურ. 36, 48). მისი ყველაზე ღრმა ნაწილი – ღირსი მამის ნეშტის ჩასასვენებელი ორმო – არასწორი მოხაზულობისაა.) ლუსკუმის ძირი ნულოვანი წერტილიდან (სამარხის ზედაპირიდან) 137 სმ. სიღრმეზე მდებარეობს. სამარხის შიდა ნაწილის ზომებია: სიგრძე – 182 სმ. სიგანე – 40–45 სმ. (ეს ზომა სამარხის პერიმეტრზე იცვლება), სიმაღლე – 33–35 სმ. ჩასასვენებელს დასავლეთით აქვს დაახლ. 8–10 სმ. სიგრძის სასთუმალი; იგი ლუსკუმის იატაკთან შედარებით 5–7 სმ–ით მაღლაა აწეული. აღმოსავლეთით ლუსკუმა 25 სმ–ით შეჭრილია საკურთხევლის მიმდებარე სამხრეთი უბის აღმოსავლეთი კედლის ქვეშ (სურ. 38). (ნეშტის ჩასასვენებელ ორმოს გარს შედარებით ვიწრო (8–10 სმ. სიგანის) საფეხური შემოსდევს. იგი გადასახური ფილების საყრდენად შეუქმნიათ. ქვიშაქვის წაგრძელებული

3. ღირსი მამის ლუსკუმა (კლდეში ნაკვეთი ნაწილი) ტაძრის აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძთან მიმართებით რამდენადმე გადახრილია ჩრდილოეთისაკენ. როგორც ჩანს, ეს შეუსაბამობა იმით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ წმ. ილარიონის მიერ ტაძრის განახლება-განვრცობისას მისი დამხრობა გარკვეულწილად შეიცვალა. ლუსკუმაზე მოგვიანებულ აღმართული ლარნაკი ზუსტად შეესაბამება ტაძრის დამხრობას (შდრ. სურ. 4).

ფორმის ბრტყელი ფილები დაუძრავად დაფიქსირდა სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში, 105 სმ. სიღრმეზე, ნეშტის წელსქვემოთა მონაკვეთზე. სახელდობრ, გაწმენდისას აღმოჩნდა სამარხის გადასახური ორი ფილა, – ბრტყელი და შედარებით ფართო, – რომლებიც სინესტისა და ზედა სამშენებლო ფენის დაწოლის გამო შუაზე იყო გატეხილი და განსასვენებლის სიღრმეში ცერად ჩაცურებული (სურ. 29, 30). სამარხის დასავლეთ ნაწილში გადასახური ფილები არ აღმოჩნდა. ისინი დასაკრძალავის ხელყოფისას უნდა დაკარგულიყო. (განსასვენებელი ორმო შევსებული იყო სუფთა სტრუქტურის მიწით.)

დასაკრძალავი ღრმულის საფარი ფილების ზემოთ, ლუსკუმის კლდეში ნაკაფი შვეული კედლები 38-40 სმ. სიმაღლისაა. ამის შემდგომ სამარხის ზედაპირს კიდევ ერთი, შედარებით დაბალი საფეხური შემოუყვება – ამჯერად ფილების მეორე წყების ჩამოსადებად და სამაგრად. დასაკრძალავის პირველ და მეორე საბურველთა შორის არსებული სივრცე საუკუნეების მანძილზე დაგროვილი მიწით შევსილა. მოგვიანოდ, ლუსკუმის ზემოთა ნაწილის ხელყოფისას, ზედა საბურველის ფილები ფაქტობრივად მთლიანად აუყრიათ. რამდენიმე მათგანი – გატეხილი და ცალკეული ფრაგმენტების სახით შემორჩენილი – გადახურვათა შორის მონაკვეთის შემავსებელ მიწაში აღმოჩნდა უწესრიგოდ გაბნეული (ესაა ქვიშაქვის სხვადასხვა ზომის ბრტყელი ფილები, რომელთა ზომები მერყეობს 30-დან 80 სმ-მდე - სურ. 20-22). მათგან სამს (57-60 სმ. სიღრმეზე დადასტურებულ ფილებს) შემორჩა ხელის ჩასაყოფი ხვრელისათვის საგანგებოდ გამოყვანილი ნახევარწრიული მოხაზულობის კიდე. ამ ფილათაგან ორზე ფოსოები ერთმანეთის თანაგვარია (დიამეტრი 7-8 სმ.), ხოლო მესამეზე – მათგან განსხვავებული როგორც მოხაზულობის და ზომის (დიამეტრი 8-10 სმ.), ისე კვეთის მხრივ (სურ. 24-27). შესაბამისად, ცხადი გახდა, რომ დასაკრძალავის საბურველში გაკეთებული იყო ხელის ჩასაყოფი ხვრელი მომლოცველებისათვის, ღირსი მამის ლუსკუმიდან წმინდა მტვრის ამოსაღებად. ხვრელი რამდენიმე (ორი ან სამი) ფილის ერთმანეთთან მიდგმისას იქმნებოდა.

(გაწმენდითი სამუშაოების პროცესში ნათელი გახდა ისიც, რომ ჩრდილოეთიდან ლუსკუმა მცირე საფეხურით იყო ამაღლებული ეკლესიის იატაკისთავდაპირველი დონიდან) იატაკის ეს დონე (X საუკუნის შუახანებისათვის განხორციელებული გადაკეთება-გაფართოვების დროინდელი უნდა იყოს. როგორც ჩანს, ეკლესიის იატაკი იმხანად მოსხმული არც კი ყოფილა და კლდეს დარბაზის მთელს პერიმეტრზე საკმაოდ არათანაბარი ზედაპირი უნდა ჰქონოდა. (იატაკის დონიდან ლუსკუმის გამომყოფ, კლდეში ნაკვეთ,

საფეხურზე დადგმული იყო შვეულად ამართული და კირით შედუღაბებული სამიმოზრდილი ფილით შექმნილი ზღუდე (სურ. 18), რომელმაც განსასვენებელი კიდევ უფრო მაღალი გახადა – ამის შედეგად ლუსკუმას სწორკუთხა მოხაზულობის მასიური ლარნაკის[4] სახე მიეცა:

„[წმ. ილარიონმა] მერმეცა გარესკჳას ყოფასა მისსა საძრჱთ კერძო ეკლესიასა ამას შინა შექმნა ლარნაკი შუენიერი, რომელსა შინა აწ მდებარე არიან პატიოსანნი ნაწილნი წმიდისა მამისა დავითისნი.“[5]

/ ლარნაკი, თავის მხრივ, მთლიანად არ ავსებდა ღირსი მამის განსასვენებლისათვის საგანგებოდ შექმნილ თაღოვან უბეს – მის დასავლეთ კიდეში,

---

4. ლარნაკი (λάρναξ): *„ვყავთ ჩუენ ბრძანებისაებრ და მოვიყვანე ლარნაკი მისი აქა მონასტერსა და ეკლესიასა სამარხოსა ჩემსა და მუნ დავდეოთ საფლავსა შინა გუამი მისი“* (ა. შანიძე, *ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი* (თბილისი, 1971), 2,11). შდრ. სულხან-საბასეული განმარტება – *„ესე არს მსგავსად კიდობანისა, შემზადებული ფიცართაგან ანუ ქვათაგან, შთასასხმელად კაცთათვის, ხოლო ვიეთნი მკვდართათვისაც“* (სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, ტ. I (თბილისი, 1991), გვ. 406-407); ნ. ჩუბინაშვილთან ლუსკუმა და ლარნაკი გაიგივებულია: *„ლარნაკი-ლუსკუმა, ქვათა ანუ მეტალლთაგან შემზადებული წმიდათა ნაწილთა“* (ნ. ჩუბინაშვილი, *ქართული ლექსიკონი* (თბილისი, 1961), გვ. 258). დეტალურად ამასთან დაკავშირებით იხ. კ. გოცაძე, *დაკრძალვის წესები გვიანანტიკურ და ადრეშუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში (I-X სს.)*, *საკანდიდატო დისერტაცია* (თბილისი, 1990); აგრეთვე – ე. ნადირაძე, თ. ნადირაძე, *უდაბნო საღვთოთ შემოკრებულთა* (თბილისი, 2001), გვ. 89-98; ლარნაკსა და ლუსკუმასთან დაკავშირებით საგულისხმო დაკვირვებები მოიპოვება დ. მეგრელაძის ნარკვევში – დავით აღმაშენებლის მიერ მღვიმის მონასტრისადმი ბოძებული ანდერძის ტექსტიდან ერთი მონაკვეთის შესახებ, კრებულში: *ანამკი. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი* (თბილისი, 2002), გვ. 163-167.

5. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დავით გარესკჳელისაჲ, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. III, მეტაფრასული რედაქციები (XI-XIII სს.)*, *დასაბეჭდად მოამზადეს* ილ. *აბულაძემ*, ე. *გაბიძაშვილმა*, ნ. *გოგუაძემ*, *მ. დოლაქიძემ*, *გ. კიკნაძემ* და *ც. ქურციკიძემ*, ილ. *აბულაძის ხელმძღვანელობითა* და *რედაქციით* (თბილისი, 1971), გვ. 197.

ლარნაკის დასავლეთ ზღუდესა და უბის კედელს შორის, იატაკიდან ერთ, საკმაოდ მაღალ, საფეხურად შემაღლებული, მცირე თარო იყო დარჩენილი (სურ. 29, 31-33).

(მიუხედავად დასაკრძალავის არაერთგზისი განახლებისა, წმ. დავით გარეჯელის ნეშტი ფაქტობრივად ხელუხლებლად იქნა შემორჩენილი, განსვენების პირვანდელ მდგომარეობაში, დაუძრავად (სურ. 36, 37). ეს გარემოება მნიშვნელოვანია, რადგანაც ქრისტიანული აღმოსავლეთის პილიგრიმულ ცენტრებში ფართოდ გავრცელებული იყო წმინდანის დასაკრძალავთან მიახლებისა და თაყვანისცემისას მისგან წმინდა ნაწილის აღების პრაქტიკა.[6] გაწმენდისას ცხადი გახდა, რომ წმ. დავითის განსასვენებელთან დაკავშირებით ამ მხრივ გარკვეულ გამონაკლისთან უნდა გვქონდეს საქმე – სხვა წინაპირობათა გვერდით ხელშეხება და წმინდა ნაწილის გამოღების სურვილი შეიძლებოდა ყოფილიყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ღირსი მამის ნეშტის მხოლოდ ზედა ნაწილია დაზიანებული. წმ. დავითი ესვენა ზურგზე, გამართულ მდგომარეობაში თავით დასავლეთით, ხელები იდაყვებში ჰქონდა მოხრილი და მკერდს ქვემოთ დაკრეფილი. – მარცხენა ხელის მტევანი მარჯვენაზე ზემოდან ჰქონდა დადებული. წმ. დავითის ნეშტის ზომებია: ტერფამდე – 156 სმ; გადაშლილი ტერფებით – 170 სმ. როგორც აღინიშნა, ნეშტის წელსზედა ნაწილი ჟამთა სვლის, სინესტისა და ხელის შეხებისაგან რამდენადმე დაზიანებულა. თავის ქალისაგან შემორჩა მხოლოდ თხემი, რომელიც დროთა განმავლობაში სასთუმალიდან დაძრულა და მხრებისკენ ჩამოცურებულა. ღირსი მამის ნეშტი წელს ქვემოთ თითქმის სრული სახითაა შემონახული. ტანისა და მუხლების არეებთან, აგრეთვე თავთან დაფიქსირდა მიწადქცეული შავი ქსოვილის ნაშთები. ეს იმაზე შეიძლება მიუთითებდეს, რომ დაკრძალვისას წმ. დავითს ემოსა შავი ქსოვილის ჩოჯა, როგორც ეს მის ცხოვრებაშიცაა მითითებული,[7]

---

6. A. Mary-Talbot, Pilgrimage to Healing Shrines: the Evidence of Miracle Accounts, *Dumbarton Oaks Papers*, 56 (2002), p. 153 ff (ადრეული ბიბლიოგრაფიით).

7. ასურელ მამათა შესამოსელის შესახებ: *„მოვიდოდეს წმიდანი იგი მამანი უკამლონი და დაბებკულითა მოსილნი, შეურაცხად სახილველნი, კუნკულითა შემოსილნი წესისაებრ ასურთა ქუეყანისა“* (ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ შიოჲსი და ევაგრესი, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, III, გვ. 122). საკუთრივ წმ. დავითის შესამოსელის თაობაზე ღირსი მამის ცხოვრებაში მითითებულია – *„დაბებკულითა მოსილ არს უნდოდ ... და*

ანუ მოწესეთა ტრადიციული შესამოსელი ქრისტიანული აღმოსავლეთის სამონასტრო გაერთიანებებში.[8] ასევე მოსალოდნელია, რომ იგი მაზარაში[9] წაგრაგნილი უნდა დაეკრძალათ, მსგავსად ქრისტიანული აღმოსავლეთის სამონასტრო ტრადიციაში დამკვიდრებული წესისა.[10]

(როგორც ჩანს, გარკვეულ პერიოდში ლუსკუმას ზემოდან თაღი გადასდევდა. განსასვენებლის ზედა მონაკვეთზე დადასტურდა თაღოვანი გადახურვის სამი, ერთმანეთზე დაშრეტეებული ფენა)(სურ. 13, 14). მათგან ზედა ფენა ლუსკუმის ზედაპირიდან 25 სმ. სიღრმეზე მდებარეობდა. მომდევნო ფენები მასთან მიჯრით იყო დაშრეტეებული. ფენების სისქე ასეთია (შესაბამისად, ზემოდან ქვემოთ): I ფენა – 9 სმ.; II ფენა – 4 სმ.; III ფენა – 15 სმ.(შუა ფენაზე დადასტურდა ბათქაშის ფრაგმენტები ფერწერის კვალით, სახელდობრ შავი, წითელი და თეთრი ფერის ზოლების ნაშთებით (სურ. 23). სამხრეთი მხრიდან გადახურვა ეკლესიის კედელს ემყარებოდა. ადრეული თაღის ნაშთი შემორჩენილი იყო ლარნაკის ცენტრალურ ნაწილში, დასაკრძალავი უბის სამხრეთი კედლის შუა მონაკვეთზე. თაღოვანი გადახურვის მეორე და მესამე ფენები ლარნაკის აღმოსავლეთ ნაწილში დაფიქსირდა.)

დასაკრძალავის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, ლარნაკის ზედაპირიდან 50 სმ. სიღრმეზე აღმოჩნდა ხის ფრაგმენტები (სურ. 65₁). გამორიცხული არ არის, რომ ხე განსასვენებლის გადახურვის ერთ-ერთი ფენისათვის იქნა გამოყენებული.

ლუსკუმის გაწმენდის პროცესში გაშიშვლდა ეკლესიის სამხრეთი უბის

წუერნი მისნი შთავლენან ვიდრე სარტყელადმდე და კუერთხი ჴელთა მისთა და ჴამლნი უნდონი ფერჴთა" (ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დავით გარესჯელისაჲ, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლი-ტერატურის ძეგლები*, III, გვ. 210; ცხორება წმიდისა ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დავით გარესჯელისა მეუდაბნოესი, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, III, გვ. 306).

8. Y. Hirschfeld, *The Judean Desert Monasteries in the Byzantine period* (New Haven and London, 1992), p. 91-93; J. Patrich, *Sabas, leader of Palestinian Monasticism. A Comparison Study in Eastern Monasticism, Fourth to Seventh Centuries* (Washington, D.C., 1995), p. 210-220.

9. **მაზარა** – „ზედ წამოსასხმელი" (სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, გვ. 429).

10. J. Patrich, დასახ. ნაშრომი, გვ. 214.

სამხრეთი კედელიც, კერძოდ მისი ქვედა ნახევარი. ბათქაშის ფენის მოცილების შედეგად გარკვა, რომ უბის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში კედელი კლდის ქანშია გამოკაფული, შუა მონაკვეთი კი თავის დროზე გამჭოლი უნდა ყოფილიყო – მოგვიანოდ იგი ქვითა და აგურით ამოუქოლავთ. ეს გარემოება სავარაუდოს ხდის, რომ ღირსი მამის დასაკრძალავი თავდაპირველად სამხრეთით უნდა ყოფილიყო გახსნილი მისაახლებლად და თაყვანისსაცემელად.

უბის აღმოსავლეთ, საკურთხეველთან მიმდებარე, კედელში, ლარნაკის ზედაპირიდან მცირე სიმაღლეზე, ბათქაშის ფენის მოცილების შედეგად გამოჩნდა ქართული აგურით გადაყვანილი თაღოვანი ნიშა (სურ. 47).

ლუსკუმის უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო წმინდა დავითის დასაკრძალავის საბურველში ხელჩასაყოფი საევლოგიე ხვრელი. ღირსი მამის ლარნაკზე მისი არსებობა წერილობითაცაა დადასტურებული. ღირსი ონისიფორე გარეჯელის (XVIII ს.) მიერ ჯაბუკი სწორედ წმ. დავითის სამარხიდან ამოღებული წმინდა მტვრით განიკურნა:

„ჰრქუა მას წმიდამან: „დასცხერ და დადუმენ, რამეთუ მაქვს მე აქა წმიდის დავითის გარეჯელის საფლავისაგან მტვერი ევლოგიად და მოითხოვა (ონისიფორემ) სტამნითა წყალი და შერთო მიწა წყალსა მას და გონებითა ზე მხედველი სულთ იქიდა ღმრთისა მიმართ და ხელითა თჳსთა მიუპყრა პირსა მის ჯაბუკისასა და ეტყოდა: „შვილო, ესე შესვი სახელითა იესუ ქრისტესითა და ლოცვითა წმიდისა დავითისითა განიკურნები“. და შესმასა მისსა მუნთქვესვე განთავისუფლდა ჯაბუკი იგი გვემულებისაგან ეშმაკისა და მისცა იგი დედასა თჳსსა.“[11]

როგორც ჩანს, წმინდა მტვრის ამოსაღები ხვრელი ჰქონდა გადახურვის ქვედა რიგის ფილებსაც; სწორედ ამაზე უნდა მიუთითებდეს ლუსკუმის გაწმენდისას აღმოჩენილი ფილები, სხვადასხვა ზომისა და მოხაზულობის ფოსოებით, რომლებიც, ამასთანავე, სხვადასხვაგვარადაცაა გამოკვეთილი. წმ. დავითის ლუსკუმის ზედა და ქვედა საბურველში საევლოგიე ხვრელების არსებობის მოწმობას უნდა წარმოადგენდეს გაბრიელ მცირის „ღვთიესულიერ თხრობათა“ ის პასაჟი, რომელიც ღირსი მამის დასაკრძალავიდან მისი წმინდა ნაწილის ამოღებასა და მასთან დაკავშირებულ სასწაულზე მოგვითხრობს:

---

11. ღირსი გაბრიელ მცირე, ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სქემოსან ონისიფორესი, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, წ.V (თბილისი, 1989), გვ. 115.

„გარნა აწ ჟამთა ჩვენთა მესმა მე სარწმუნოთა კაცთა მიერ ყოვლადსამღუდელო კირილესათვის ეპისკოპოსისა, რომელი აღიზარდა მასვე მონასტერსა დავითისსა: ოდეს იქმნა იგი მღუდელმონაზონ, წარსლვა ეგულებოდა მორჩილებით სოფლად საჭიროსა საქმისათვის. და შთავიდა წმიდისა დავითის საფლავსა, და მხურვალედ ილოცა, და ჴელ-ჰყო აღმოღებად საფლავისაგან მის ნეტარისა მტვერი ევლოგიად, ვითარცა არს ჩუეულება, რომლისა მიერ მსასოებელნი მრავალნი იკურნებიან. და ჰხუდა ჴელსა მისსა ერთი ნაწილთაგან ფერცხალი, რომელიცა აღმოიღო სიხარულით და არავის უთხრა, რამეთუ განიზრახა გულსა თვისსა, რათა წარიღოს სოფლად და ვეცხლით შეამკოს კეთილად და აქუნდეს სასოდ თვისად.“ [12]

განსასვენებლის მოწყობის ამგვარი წესი, როგორც ჩანს, გარეჯში ყოფილა არამარტო დამკვიდრებული, არამედ საზოგადოდ მიღებულ-გავრცელებულიც. ამ მხრივ მრავლისმეტყველი ჩანს ჩანაწერი წმ. დოდოს გარეჯელის თავდაპირველი განსასვენებლის გაწმენდის შესახებ, რომელიც ღირსი მამის ნაწილთა ლავრაში გადასვენების უშუალო მონაწილეს, მორჩილ სპირიდონ გრძელიშვილს ეკუთვნის და რომელსაც მიქელ-გობრონ საბინინის მიერ „საქართველოს სამოთხეში“ ჩართული სათანადო პასაჟიც ეფუძნება:

„აღმოვწმინდეთ ეკლესია და გამოჩნდა საფლავი გადალესილი წმიდათ და ზედ დახატული სახე ღირსი დოდოსი. და ქონდა ხელის ჩასაყოფი საფლავში მიწის ამოსაღებათ ევლოგიათ და სურვილით მიმავალთა.“[13]

---

12. ღირსი გაბრიელ მცირე, ღვთივსულიერნი თხრობანი სულთა ღვთისმოყვარეთა ფრიად სარგებელნი, გამოსაცემად მოამზადა ზაზა სხირტლაძემ (თბილისი, 2002), გვ. 13–14.

13. შდრ.: „ოდეს აღვედით ღ. მამის მონასტერსა შინა ძლივ მივაგნევით ღ. დოდოს საფლავის ეკკლესიას, რომელიც სრულიად აღმოვსილი იყო ქჯ შით და ლამით. ვიწყეთ პრუწლად აღმოწმენდა, შემდეგ ამისა გამოჩნდა ღ. დოდოს საფლავი, რომელსა ზედა დახატული იყო ხატი ღირსისა შეხვეული მაზარასა შინა, კამარით. საფლავსა ხელის ჩასაყოფი ჰქონდა, მიწის ამოსაღებად, ევლოგიათ სასოებითა და სურჯლით მიმავალთა“ (მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე (თბილისი, 1882), გვ. 638). მ. საბინინი ამაზე სხვაგანაც მიუთითებდა: „შემდეგ დიდისა მუშაობისა აღმოვწმინდეთ, მონაზონნი შეიმოსნენ პარაკლის ხდომით,

თავის მხრივ, ტრადიცია წმინდანის განსასვენებელში ხელჩასაყოფი ხვრელის არსებობისა უძველესია; ამასთან, არსებითია ის გარემოება, რომ საქრისტიანოს სხვადასხვა კუთხეთა შორის იგი წმინდა მიწის სალოცავებშიცაა დადასტურებული. ამ მხრივ საგულისხმოა XIX საუკუნემდე შემონახული ტრადიცია, რომლის თაობაზეც მითითება ნიკო ჩუბინაშვილის მოგზაურობის მასალებში მოიპოვება.[14] წმ. დავითის, როგორც ასურელი მამის, განსასვენებელთან დაკავშირებით არანაკლებ საგულისხმო უნდა იყოს სირიის ადრეულ ეკლესიებში მრავალგან ცნობილი მსგავსი მაგალითებიც.[15]

ᲦᲘᲠᲘᲡᲘ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲚᲐᲠᲜᲐᲙᲨᲘ ᲮᲔᲚᲩᲐᲡᲐᲧᲝᲤᲘ ᲮᲕᲠᲔᲚᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲡᲣᲚ ᲛᲪᲘᲠᲔ, XIX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲛᲘᲬᲣᲠᲣᲚᲐᲛᲓᲔ ᲛᲐᲘᲜᲪ (ᲚᲐᲠᲜᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐᲛᲓᲔ) ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ. ᲡᲐᲐᲠᲥᲘᲕᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ

მუხლ მოდრეკილნი აღმოვასვენეთ წმიდანი ნაწილნი ღირსისა დოდოსი, რომლისა სამარხოში ტალახი იდგა, ხელის ჩასაყოფიდან უდენია წყალსა და თურმე წყლით ამოიმსებოდა ხოლმე...“ (მ. საბინინი, ჩემი პასუხი იოანნე გრიგორისძეს ბერძენოვს, დროება, 1881, №133).

14. შდრ. ნიკო ჩუბინაშვილის მითითება იმის თაობაზე, რომ იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერში მომლოცველები ძელიჯეშმარიტის წმინდა მტვერს იღებდნენ: *„შ(ემდგომა)დ ტაძრის მოხილვისა შეგვიძღვნენ საკურთხეველში, სადაც წ(მიდ)ის ტრაპეზის ქვეშე არს ძირი მონაკვეთისა ძელისა ჯ(ეშმარი)ტისა და მის ქვაზედ სწერია სახელი ჯ(უარ)ის მამისა ნიკიფორე ჩოლოყაშვილისა. წ(მიდ)ს ტრაპეზის მარცხნივ იატაკის მარმარილოს ქვაზედ სწერია: ესე წ(მიდ)ა და პატიოსანი მონასტერი მეფეს დ(ავი)თიანს ბაგრატ [კურო]პალატს აღუშენებია. მუნით შთავედით საკურთხევლის ქვეშე შეკრულსა კამარაში, სადაც არის ფოსო ძელისა ჯ(ეშმარი)ტის მონაჯერის ძირისა და მუნიდამ მიიღებენ მლოცავნი მიწასა ევლოგიად“* (ხი, A-1767, ფ. 153v); გამოცემულია: А. Цагарели, Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае, *Православный Палестинский Сборник*, т. IV,1 (1888), с. 46.

15. G. Descoeudres, *Die Pastophorien im Syro-byzantinischen Osten. Eine Untersuchung zu architektur- und liturgiegeschichtlichen Problemen* (Wiesbaden, 1983), p. 16-19; დ. კლდიაშვილი, გარეჯა და პილიგრიმობა ადრეული შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში, კრებულში: *სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში, გარეჯა და ქრისტიანული აღმოსავლეთი* (თბილისი, 2001), გვ. 77 და შემდ. ამგვარი ხელჩასაყოფელის დანიშნულება სხვადასხვა იყო: იგი გამოიყენებოდა წმინდა ნაწილის/წმინდანის ნეშტის ხელშესახებად, წმინდა მტვრის ამოსაღებად, ანდა წმინდა ზეთის გარდამოსასვლელად.

1860-ანი წლებისათვის დოკუმენტურად დასტურდება,[16] თუმცა მისი არსებობა გვიანაც არის სავარაუდო.[17])

წერილობითი წყაროების, ადგილობრივი სამონასტრო ტრადიციის, საკუთრივ დასაკრძალავის მოწყობისა და მისი აღნაგობის თავისებურებების, ისევე როგორც ნივთიერი მასალების შეჯერება-გათვალისწინებით, შესაძლებელი ხდება გამოიყოს წმ. დავით გარეჯელის განსასვენებლის შექმნისა და შემდგომი განახლება-გადაკეთების რამდენიმე ეტაპი:

VI საუკუნის მეორე ნახევარში, ღირსი მამის სიცოცხლეშივე რუსთავის ერისთავის, ბუბაქარის თაოსნობით იკვეთება ეკლესია, სადაც მოგვიანებით წმ. დავითი დაიკრძალა. იგი მოკრძალებული ზომებისა უნდა ყოფილიყო. დასაკრძალავი ეკლესია (იგივე სამარტვილე), როგორც ჩანს, გახსნილი იყო სამხრეთით, მონასტრის ეზოსკენ. ამგვარი გეგმარების მქონე დასაკრძალავები სწორედ ადრეული შუა საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვადასხვა კუთხეში,[18] გარეჯთან დაკავშირებით განსაკუთრებით ნიშ-

16. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 500, აღწ. 2, საქმე 350.

17. Один монах, слепой от рождения, прикоснувшись к праху св. Давида, мгновенно прозрел и начал видеть. И ныне, кто с верою помазуется прахом его из гроба, откуда исходит благовонное и приятное дыхание, тот и телом и душою исцелевает (Е[пископ] К[ирион], *Преподобный Давид Гареджели и его Лавра* (Тифлис, 1901), с. 21-22).

18. H. C. Butler, *Early Churches in Syria, 4th-7th Centuries* (Princeton, 1929), p. 212-213, 216; J. Lassus, *Sanctuaires chretiens de Syrie* (Paris, 1947), p. 173-176; Д. Кипшидзе, Пещеры Ани (Ереван, 1972), с. 123-126, рис. 54-55, таб. 50; Y. Hirschfeld, *The Judean Desert Monasteries in the Byzantine Period* (New Haven and London, 1992), p. 140, fig. 71; N. G. Laskaris, *Monuments funeraires paléochretiens (et byzantins) de Grece* (Athènes, 2000), p. 178. წმინდანის განსასვენებლისათვის ადგილის შერჩევა, რასაკვირველია, შედარებით ვრცელ ტაძრებში იყო შესაძლებელი. გარეჯის გამოქვაბულ ეკლესიათა და სამარტვილეთა მასშტაბები და მათი არქიტექტურული გადაწყვეტა თავისთავად განაპირობებდა განსასვენებლის ადგილს, სახელდობრ მონაკვეთს შესასვლელის პირისპირ, ე.ი. ჩრდილოეთ უბეს/კედელს.

ნეული ჩანს თანაგვარი პრაქტიკის არსებობა ადრეული ხანის სირიულ ეკლესიებში, სადაც ადგილობრივ წმინდანთა დასაკრძალავები ტაძრის აღმოსავლეთ მონაკვეთში, საკურთხეველთან უშუალო სიახლოვეს (ზოგჯერ სამკვეთლოში, სადიაკვნეში, ანდა ეკვდერში) ეწყობოდა.[19] შემთხვევითი ვერ იქნება ის გარემოება, რომ შუა საუკუნეების საქართველოში მსგავსი მოვლენა ასურელ მამათა დასაკრძალავებში გვხვდება – ზედაზენის,[20] წილკანის,[21] მარტყოფის,[22] ალავერდის,[23] ხირსის,[24] ბრეთის,[25] სამთავისის[26] ეკლესიებში ლუსკუმა განთავსე-

19. G. Descoeudres, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

20. თავდაპირველად წმ. იოანე ზედაზნელი დაკრძალა მისთვის საგანგებოდ აგებულ მცირე ეკლესიაში, რომელიც მოგვიანებით, VIII–IX საუკუნეებში აგებული დიდი სამნავიანი ბაზილიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მოექცა (Н. Чубинашвили, Зедазени, Кликис Джвари, Гвиара, *Ars Georgica*, 7 (1971), с. 31-40).

21. წილკნის ტაძარში ღირსი მამა ისეს დასაკრძალავის არსებობა დადასტურდა სარესტავრაციო სამუშაოების დროს, რომელსაც ნ. ჩუბინაშვილი ხელმძღვანელობდა. ეს მასალები დღემდე გამოქვეყნებული არ ყოფილა. ტაძრის თაობაზე იხ. R. Mepisaschwili, V. Zinzadze, *Georgien. Wehrbauten und Kirchen* (Leipzig, 1986), p. 88.

22. Р. Шмерлинг, В. Долидзе, Т. Барнавели, *Окрестности Тбилиси* (Тбилиси, 1960), с. 108.

23. Г. Чубинашвили, *Архитектура Кахети* (Тбилиси, 1958), с. 374.

24. ეპისკოპოსი კირიონი, *ღირსი სტეფანე და მის მიერ დაარსებული ხირსის მონასტერი* (თბილისი, 1998), გვ 16, სურ. 7, 8; შდრ.: Г. Чубинашвили, *Архитектура Кахети*, გვ. 325–339.

25. წმ. იოანე ზედაზნელის განსასვენებლის მსგავსად, ბრეთშიც ღირსი მამა პიროსის სამარხოდ მცირე ზომის ეკვდერი აუგიათ. იგი შემდგომში უფრო დიდი ზომის ეკლესიაში მოექცა, როგორც ჩრდილო-აღმოსავლეთი ეკვდერი. იხ.: თ. სანიკიძე, ბრეთის „მამა პიროსი", *ძეგლის მეგობარი*, 1974, № 35, გვ. 48–57; *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*, V (თბილისი, 1990), გვ. 360–361.

26. ძეგლის მრავალგზისი პუბლიკაციის მიუხედავად, მითითება კათედრალის სამკვეთლოში წმ. ისიდორეს საფლავის არსებობის თაობაზე არსად გვხვდება. შდრ.: გ. სოხაშვილი, *სამთავისი* (თბილისი, 1973); *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*, V გვ. 191–198 (ადრეული ბიბლიოგრაფიით).

ბულია ჩრდილოეთი კედლის/მკლავის ან უბის აღმოსავლეთ მონაკვეთზე; იგივე ტრადიცია ასწლეულების მანძილზე დამკვიდრებული ჩანს საკუთრივ გარეჯშიც (წმ. დოდოს მონასტერი,[27] ბერთუბანი,[28] წამებული,[29] უდაბნო[30]).

წმ. დავითის ლუსკუმა კლდეში ჩაკვეთილი სამარხის სახით შეიქმნა. მისი აღნაგობა, ისევე როგორც დაკრძალვის განსაკუთრებული სისადავე, აგრეთვე ნარატიულ წყაროთა ცნობების გათვალისწინება და ადგილობრივი სამონასტრო ტრადიცია ნათელს ხდის, რომ ღირსი მამის კლდეში ნაკვეთმა განსასვენებელმა თითქმის უცვლელი სახით მოაღწია ჩვენამდე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსასვენებლის ეს სახესხვაობა – მიცვალებულის ზომაზე კლდის ქანში ამოკვეთილი სამარხი, რომელიც ზემოდან ფილებითაა გადახურული, გავრცელებას პოვებს გარეჯის მრავალმთის სხვა მონასტრებში – ბოლო ხანებში მრავალმთის ივრისპირა ნაწილის გამოქვაბულ კომპლექსებში, სახელდობრ პირუკეღმა მთის მონასტერში მიკვლეული დასაკრძალავები ამის მოწმობაა.[31] ადგილობრივ მოწესეთა სამარხების მოწყო-

---

27. თ. ჯოჯუა, დოდო გარეჯელის ძველი განსასვენებელი, *კრებულში: ქრისტიანობა და საქართველო. ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევები* (თბილისი, 2000), გვ. 36–44.

28. G. Abramishvili, The Painting of Bertubani Martyrium, *in: L'arte georgiana dal IX al XIV secolo. Atti del Terzo Simpozio Internazionale sull'arte Georgiana,* vol. I (Galatina, 1986), p. 199-203; მისივე, ბერთუბნის სამარტვილის მოხატულობა, *სპექტრი*, 1998, №1, გვ. 52–57.

29. ზ. თვალჭრელიძე, ზ. სხირტლაძე, გამოქვაბული სამარტვილე წამებულში, *Academia*, №1 (2001), გვ. 50–55.

30. ზ. სხირტლაძე, უდაბნოს მონასტრის სამარტვილეს ისტორიისათვის (იბეჭდება). ამგვარი ტრადიცია ჩვენში მოგვიანოდაც უნდა შემორჩენილიყო. დღეისათვის ცნობილი არ არის, თუ ვისთვის უნდა ყოფილიყო გამიზნული ვარძიის გამოქვაბული კომპლექსის დასავლეთ მასივში X საუკუნისათვის გამოკვეთილი ანანაურის ეკლესიის ჩრდილოეთ უბეში მოწყობილი დასაკრძალავი. მოგვიანებით, XVI საუკუნის დასაწყისში, იგი, სავარაუდოდ, სამცხის ათაბაგის, მზეჭაბუკის (†1516) განსასვენებელი გახდა (კ. მელითაური, იაკობის სავანე ანანაურის ეკლესიასთან, *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 1977, №1, გვ. 49–52).

31. ზ. სხირტლაძე, ივრისპირა გარეჯის მონასტრებში, *საქართველოს რესპუბლიკა*, 1997, 25 დეკემბერი, №322 (2695), გვ. 3.

ბის მსგავსი წესი მრავალმთაში ასწლეულების მანძილზე, გვიან შუა საუკუნეებამდე გვხვდება – იგი დიდ ქვაბებში, აგრეთვე წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერში იქნა დადასტურებული.[32]

IX საუკუნის შუახანებში, წმ. ილარიონ ქართველის ღვაწლით ეკლესიის განახლება-გაფართოვების შედეგად ღირსი მამის დასაკრძალავი საერთო სალოცავი ეკლესია გახდა („*და კუალად უდაბნოდ გარეშჯისა მივიდა, სადა-იგი დაეტევნეს ძმანი პირველ, ხოლო წმიდისა დავითის სამარტვილოსა შინა ეკლესიად შექმნა და შეწირა საჯმარი, რაოდენი იპოვა მის შორის...*").[33] წმინდანის საფლავი ეკლესიის ინტერიერის, სახელდობრ დარბაზის სამხრეთ ნაწილში მოექცა (სურ. 4-6). ლუსკუმას თავდაპირველად ჩრდილოეთი მხრიდან მიჯნა არ უნდა ჰქონოდა. განახლებულ-გაფართოებული ეკლესიის იატაკის თავდაპირველ დონესთან (რომელიც იმხანად ასევე კლდეში ნაკაფი უნდა ყოფილიყო) შედარებით იგი მხოლოდ ერთი საფეხურით იყო ამაღლებული, ბრტყელი ფილებით გადახურული და, შესაძლოა, კირით მოსხმულ-მოლესილი (განსასვენებელთა მსგავსი აღნაგობა მრავალგზის დადასტურებულა გარეჯში – შდრ. მასალები წმ. დოდოს დასაკრძალავის შესახებ,[34] სამარტვილეები ბერთუბანში,[35] წამებულში,[36] პირუკუღმა მთის მონასტერში[37]). გამოქვაბული ტაძრის განახლებისას, შესაბამისად, აუცილებელი გახდა მისი ჩრდილოეთიდან კედლით შემოზღუდვა – წმინდანის განსასვენებელთან მიახლება სამთხვევად და სალოცავად ახლა სწორედ ამ მხრიდან იყო შესაძლებელი,

---

32. ბ. მჭედლიშვილი, ივრისპირა ქვაბების არქეოლოგიური დაზვერვები, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები*, V (1977), გვ. 158-159; ზ. თვალჭრელიძე, გარეჯის ნათლისმცემლის უდაბნო-მონასტერი (არქეოლოგიური კვლევა-ძიება), *ძეგლის მეგობარი*, 1988, №2, გვ. 19; მისივე, გარეჯის სამონასტრო ცხოვრების განვითარების ეტაპები არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, კრებულში: *სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში. გარეჯა და ქრისტიანული აღმოსავლეთი* (თბილისი, 2001), გვ. 28.

33. *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, III, გვ. 222.

34. ხელნაწერთა ინსტიტუტი, S-3283d; მ. საბინინი, *საქართველოს სამოთხე*, გვ. 638.

35. G. Abramishvili, დასახ. ნაშრომი, გვ. 199 და შემდ.

36. ზ. თვალჭრელიძე, ზ. სხირტლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 50-55.

37. ზ. სხირტლაძე, ივრისპირა გარეჯის მონასტრებში, გვ. 3.

ამასთან ტაძრის განახლება-გაფართოვების კვალად ეს გარკვეულწილად რთული უნდა გამხდარიყო, რადგანაც სამარხის პირი ეკლესიის დარბაზის იატაკის დონესთან მიმართებით საკმაოდ დაბლა აღმოჩნდა განთავსებული. ლუსკუმის დაბალი, მისაახლებლად და სამთხვევად რამდენადმე უხერხული მდებარეობა კიდევ უფრო თვალსაჩინო უნდა გამხდარიყო იატაკის მოსხმის შემდეგ – იგი ნალესობის სქელი, არათანაბარი ფენით დაიფარა, კლდეში ნაკაფი, არათანაბარი და, შესაძლოა, დროისაგან რამდენადმე უკვე შელახული ზედაპირის შეძლებისდაგვარად მოსასწორებლად.[38]

ყოველივე ამის გამო (ლუსკუმა ჩრდილოეთი (ე.ი. ეკლესიის დარბაზის) მხრიდან ქვის სწორკუთხა, შვეულად აღმართული და ერთმანეთთან შედუღაბებული ფილებით ამოუშენებიათ და მასზე თაღოვანი გადახურვა მოუწყვიათ. ამის შესახებ მითითება მოიპოვება წმ. დავითის ცხოვრებაში,) სადაც ნათქვამია, რომ წმ. ილარიონმა *„სამხრით კერძო ეკლესიასა მას შექმნა ლუსკუმაჲ შუენიერი“*.[39]

ეკლესიის გაფართოვება-განახლებისას ახლად გამოკვეთილი, ადრინდელზე ბევრად უფრო ვრცელი, საკურთხევლის დამხრობა გარკვეულწილად შეიცვალა. ამის გამო ღირსი მამის დასაკრძალავი ლუსკუმა რამდენადმე დიაგონალურად მოექცა და მისი მიმართება სამხრეთდასავლეთიდან ჩრდილოაღმოსავლეთით შეიცვალა. ამას გარდა, შექმნილ უბეს ლუსკუმა მთლიანად არ ავსებდა – განსასვენებლის დასავლეთ კიდეში (დაკრძალულის თავის მხარეს) იატაკის დონიდან ერთი საფეხურით შემაღლებული არე რჩებოდა)

ქრონოლოგიური მონაკვეთი განსასვენებლის განახლება-გადაკეთების ამ და მომდევნო ეტაპს შორის ვრცელ პერიოდს მოითვლის. ჩვენთვის ფაქტობრივად არაფერია ცნობილი განსასვენებლის ისტორიის თაობაზე X საუკუნი-

38. ტაძრის იატაკზე მოსხმული ბათქაში (პალესტინის ქართული წარწერის მიხედვით – *სეფა*; იხ. გ. წერეთელი, *უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან* (თბილისი, 1960), გვ. 11-12, 37-38; ილ. აბულაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი* (თბილისი), 1973, გვ. 387) მსხვილი ფრაქციისაა, მუქი მოყვითალო-მორუხო შეფერილობისა. ზედაპირი გადაღესილი აქვს ძალზე წმინდა, ლეგა ფერის ხსნარით. ნალესობაში ჩართულია ხის მცირე ფრაგმენტები. ბათქაშის პეტროგრაფიული და რენტგენული ანალიზისას ცხადი გახდა, რომ იგი რთული შედგენილობისაა, მინდვრის შპატის, კვარცის, მონტ-მორილონიტისა და პალზიტის ჩანართებით. ზედა, თხელი ფენა პელიტური შედგენილობისაა, ამასთან იგი კალციუმის კარბონატის სიჭარბით გამოირჩევა.

39. იხ. ზემოთ, შენ. 1.

დან მოყოლებული ვიდრე გვიან შუა საუკუნეებამდე. სახელდობრ, უცნობი რჩება, თუ რა პერიოდს შეიძლება დაუკავშირდეს ცალკეულ გადაკეთებათა კვალი, ღირსი მამის დასაკრძალავის გაწმენდისას რომ დადასტურდა. ასეთია, მაგალითად, ლარნაკის თაღოვანი გადახურვის სამი ფენა. ამისათვის მასალები ფაქტობრივად არ შემორჩა.

წმ. დავითის დასაკრძალავის ისტორიის ერთ-ერთ ეტაპად ჩანს გვიანი შუა საუკუნეები, სავარაუდოდ XVII-XVIII სს. ესაა ლავრაში ონოფრე მაჭუტაძის წინამძღვრობის ხანა (1690-1733 წწ.) და მისი შემდგომი პერიოდი. ამ დროს გარეჯის მრავალმთაში საუკუნეობრივი წყვეტილის შემდეგ კვლავ დგება სამონასტრო ცხოვრების აღმავლობა-აღორძინების პერიოდი.[40] სასულიერო კერის განახლება-გამშვენებისას, ბუნებრივია, საგანგებო ყურადღება მიექცეოდა წმ. დავითის საფლავს. შემთხვევითი ვერ იქნება საბუთებში საფლავისადმი ზრუნვის გახშირება.[41] გარეჯის ახალ აღმშენებლად ცნობილი წინამძღვრის საბუთში ამის თობაზე მითითებულიცაა:

> *„რამეთუ ასვენია წმიდის დავითის საფლავზე: ხატი მოჭედილი მაცხოვრისა ერთი, არსების ხატი მოჭედილი ერთი, ხატი ყოვლად წმიდისა მოჭედილი ორი, ხატი ყოვლად წმიდისა კარიანი ერთი, ხატი ყოვლად წმიდისა გარდამოსვსნისა ერთი, ხატი მოჭედილი სამებისა ერთი, ხატი წმიდის ნიკოლოზისა ერთი."* [42]

გარეჯულ საბუთებში წმ. დავითის საფლავად ხშირად სამონასტრო გაერთიანების ცენტრი – წმ. დავითის ლავრა მოიხსენიებოდა ხოლმე. რაც შე-

---

40. მ. ქავთარია, *დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა* (თბილისი, 1965), გვ. 156-168.

41. იხ. მაგ. ულუფის გაჩენის წიგნი, მიცემული ნაზარალი ხანის მიერ დავით გარეჯის მონასტრის კრებულისა და წინამძღვარ ონოფრე მაჭუტაძისადმი, 1698, 8.XII (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-87); ანდა მამულის შეწირულების წიგნი, ბოძებული მეფე ნაზარალი-ხანის მიერ დავით გარეჯის მონასტრისათვის, 1699, 17.II (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1448, №1830).

42. *ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ* (თბილისი, 1970), გვ. 681.

ეხება ზემოთ მოხმობილ პასაჟს, მასში სწორედ ღირსი მამის საფლავის ეკლესია და განსასვენებელი ლუსკუმა იგულისხმება.

სავარაუდოდ, ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთთან უნდა იყოს დაკავშირებული წმ. დავითის ლარნაკის გადახურვის ორი, ერთმანეთთან მიჯრით დაშრეგებული ფენა.[43] მათგან ზედა ფენა (სისქე 9 სმ.) ლუსკუმის ზედაპირიდან 25 სმ. სიღრმეზე ფიქსირდება. მეორე, 4 სმ. სისქის, ფენაში აღმოჩნდა ფერწერის ფრაგმენტები, სახელდობრ, წითელი, თეთრი და შავი ფერის ზოლების ნაშთები (სურ. 23). ამ გარემოების გათვალისწინებით, არ გამოირიცხება იმის შესაძლებლობა, რომ გარკვეულ ქრონოლოგიურ ეტაპზე ღირსი მამის ლარნაკს მისი ფრესკული გამოსახულება ამკობდა. იმ მცირე ნაშთების მიხედვით, დასაკრძალავის გაწმენდისას რომ აღმოჩნდა, შეუძლებელია რაიმეს გარკვევით თქმა ამის თაობაზე. და მაინც, ქრისტიანულ აღმოსავლეთში (წმინდა მიწა, სირია, ეგვიპტე, კაპადოკია[44]) და საკუთრივ საქართველოში, საუკუნეების მანძილზე ამ მხრივ არსებული ტრადიცია გარკვეული ვარაუდის გამოთქმის საფუძველს მაინც უნდა იძლეოდეს. ამ მხრივ საგულისხმო იქნებოდა იმ მაგალითების გათვალისწინება, რომლებიც დღეისთვისაა ცნობილი საქართველოს ეკლესიის წმინდანთა დასაკრძალავებიდან.

ამ მაგალითთაგან უადრესი სწორედ ასურელ მამათა დასის წინამძღოლის, წმ. იოანე ზედაზნელის განსასვენებლის მამკობი რელიეფური ფილაა,

---

43. ბათქაშის ორივე ფენა საკმაოდ მსხვილი ფრაქციის გაჯისაა. ფრაგმენტებზე ერთი მხრიდან აღნაბეჭდის სახით დარჩენილია ღარისებრი და ბრტყელი ფორმები, რაც, ალბათ, ხის ქარგილისათვის ან ლუსკუმის გადასახური კონსტრუქციისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. შემავსებლად გამოყენებულია ალეგროლიტი, რომელიც პლაგიოკლაზისა და კვარცისაგან შედგება, ქლორიტისა და მონტ-მორილონიტის მინარევით. ერთ-ერთ ფრაგმენტზე დადასტურდა ჩანართი — შავი ფერის ვულკანური მინის თვლის სახით. აქვე ჩანს თაბაშირიც, რომელიც, შესაძლოა, შეკეთებას, შევსებას, ან ფერწერული ფენისათვის განკუთვნილ ნალესობას ეკუთვნოდეს.

44. A. Grabar, *Martyrium. Rechérches sur le culte des reliques et l'art chrétien antique,* t. I (Paris, 1946), p. 278 ff; N. Thierry, Découvertes a la Nécropole de Göreme (Cappadoce), *Comptes Rendus de l'Academie des Inscriptions et Belles-lettres,* Novembre-Décembre 1984, p. 667-674; id., Le portrait funéraire byzantin. Nouvelles Donees, *ΕΥΦΡΟΣΥΝΟΝ, Αφιερομα στον Μανολη Χατζιδακη* (Αθηναι, 1992), p. 582-592 (ადრეული ბიბლიოგრაფიით).

რომელიც VII საუკუნით თარიღდება.[45] ფილაზე, მაცხოვრის ამაღლების კომპოზიციის ქვეშ, მკვლევართა მითითებით, თავად წმ. იოანეს, აგრეთვე ზედაზენის მონასტრის ისტორიის საწყის ეტაპზე მოღვაწე მამათა, მათ შორის – ილია დიაკვნის, ეძილ ეპისკოპოსის, იოსებისა და სტეფანეს გამოსახულებები უნდა იყოს შესრულებული.[46]

წმ. დავითის დასაკრძალავთან დაკავშირებით განსაკუთრებით ფასეული ჩანს მასალები მისი მოწაფისა და თანამდგომის – წმ. დოდო გარეჯელის ლუსკუმის შემკულობის შესახებ. ცნობები ამის თაობაზე მიტროპოლიტ რომანოზის მიერ 1710–1726 წწ. შედგენილ წმ. დოდო გარეჯელის ცხოვრების სვინაქსარულ რედაქციაში მოიპოვება „*შეკრბა კრებული ყოველთა მამათა და მიიღეს ზემოსა მას კლდესა, სენაკსა მოღუაწებისა მისისასა და მუნ შექმნეს სენაკი იგი ეკლესიად მარცხენით კერძო კლდისაგან გამოკუეთილი, სადა-იგი სხენან წმიდანი ნაწილნი სხეულთა მისთანი და კურნებს მტუერი საფლავისა მისისა ყოველსა უძლურებასა კაცთასა. ზედა საფლავსა არს დახატულ წმიდა იგი მიცვალებულის სახედ, კუალად კედელთა მისი საფლავთასა აღყვანება მისი ანგელოზთაგან ზეცად*".[47] აღნიშნულ ცნობას ეხმიანება 1880 წელს, ღირსი მამის წმინდა ნაწილების წმ. დავითის ლავრაში გადასვენების ამსახველი მასალები, სადაც პირდაპირაა მითითებული, რომ წმინდანის დასაკრძალავს ამკობდა „პლიტა... ზედ გამოსახულებით ამ წმინდის სახისა".[48] ფილა წმ. დოდოს ნეშტის წმ. დავითის ლავრაში გადასვენებისას დაუმტვრევიათ; ამდენად, მოტანილი ცნობის გარდა, დღეისთვის მის შესახებ რაიმეს თქმა

---

45. А. Вольская, Рельефная плита из Зедазенского монастыря, *Ars Georgica*, 8 (1979), с. 91-106; ფილა წლების მანძილზე ინახებოდა გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში. 1991–1992 წწ. ზამთრის ცნობილი მოვლენების დროს გაჩენილი ხანძრისას იგი ძლიერ დაზიანდა.

46. А. Вольская, დასახ. ნაშრომი, გვ. 104–105; შდრ. თ. ბარნაველი, *კახეთის ისტორიულ ძეგლთა წარწერები* (თბილისი, 1962), გვ. 61–65.

47. მიტროპოლიტი რომანოზი, აღვსებისაგან ზ˜ კ3რიაკესა ოთხშაბათსა ღირსისა მამისა ჩუენისა დოდო გარესჯელისა, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV სვინაქსარული რედაქციები (XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით* (თბილისი, 1968), გვ. 418.

48 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნ. S-3283d. შდრ. „საქართველოს სამოთხეში"

შეუძლებელია. გამორიცხული არ არის, რომ იგი გვიანი პერიოდისაც ყოფილიყო – წმ. დოდოს მონასტერში ცხოვრება ხომ გვიან შუა საუკუნეებშიც (XVIII საუკუნის ბოლომდე) გრძელდებოდა, თუმცა, როგორც ჩანს, დასაკრძალავის შემკობის ამგვარი წესი ადრევე დამკვიდრებულ ტრადიციას ასახავდა.

ადგილობრივ, მრავალმთის სამონასტრო გაერთიანებაში ამ მხრივაც არსებული სურათის თანაზიარი ჩანს ბერთუბნის სამარტვილის მაგალითიც: გამოქვაბული დასაკრძალავი გარეჯში სამოწესეო ცხოვრების საწყის ეტაპზე უნდა შექმნილიყო; იგი უფრო მოგვიანებით, IX ან X საუკუნეში უნდა მოეხატათ. განსვენებულის ლუსკუმის ზემოთ, სამარტვილის ჩრდილოეთ კედელზე შესრულებულია იკონოგრაფიის მხრივ სრულიად უჩვეულო კომპოზიცია – სიმეტრიულად, ორმხრივ, ცის სეგმენტიდან გამოწვდილი ოთხ-ოთხი ხელი ჯვრით. კომპოზიციის ზემოთ, კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთზე (მარჯვენა კუთხეში) შემორჩა გამოსახულების ფრაგმენტები, სახელდობრ, სამღვდელო შესამოსელში გამოწყობილი ფიგურის ქვედა ნაწილი. სავარაუდოდ, ეს სამარტვილეში დაკრძალული მოღვაწის გამოსახულება უნდა იყოს.[49]

წმინდანის დასაკრძალავზე გამოსახულების არსებობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მოწმობა წმ. ნინოს განსასვენებელში, ბოდბის მონასტრის თავი ეკლესიის ეკვდერში, ქართველთა განმანათლებლის სამარხზე არსებული მისი ფერწერული გამოსახულებაა. ეს გამოსახულება XVI-XVII საუკუნეებში უნდა იყოს შექმნილი, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ განსასვენებელს მოციქულთა სწორი დედის სახე ადრეც ამკობდა და იგი მოგვიანოდ განახლების მიზნით გადაიწერა.[50]

დაცული ცნობა: „ოდეს აღვედით ღ. მამისა მონასტერსა შინა, ძლივ მივაგნევით ღ. დოდოს საფლავის ეკლესიას, რომელიც სრულიად აღმოვსილი იყო ქჯ შით და ლამით. ვიწყეთ პირუ ᲚᲚᲐᲓ აღმოწმენდა, შემდეგ იმისა გამოჩნდა ღ. დოდოს საფლავი, რომელსა ზედა დახატული იყო ხატი ღირსისა შეხვეული მაზარასა შინა, კამარით“ (მ. საბინინი, *საქართველოს სამოთხე*, გვ. 638).

49. G. Abramishvili, დასახ. ნაშრომი, გვ. 200, 202, ტაბ. CXIX,1; CXX,1; საკუთრივ გამოსახულების თაობაზე იხ.: Z. Skhirtladze, Martyrs and Martyria in the Gareja Desert, *Byzantina Sorbonensia* (იბეჭდება).

50. ქართველთა განმანათლებლის დასაკრძალავზე XIX საუკუნის პირველ ნახევარში იდო საფლავის ლოდი, რომელზეც გამოსახული იყო განსვენებული, გულხელდაკრეფილი წმ. ნინო; საფლავის ქვას, ამასთანავე, ჰქონდა ნაქარგი გადასაფარებლები (ცსსა, 489 №5110 – 1837 წ.). ამ გა-

(გვიანი შუა საუკუნების გარკვეულ ეტაპზე მომხდარ გადაკეთებათა შედეგად, წმ. დავითის ლარნაკის ზომები გარკვეულწილად უნდა შეცვლილიყო – იგი რამდენადმე უფრო დიდი ხდება, გეგმაში ეძლევა სწორკუთხა

დასაფარებელთაგან სამი ამჟამად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება (სხსმ/ნ №3806 – 1770 წ.; სხსმ/ნ №3791 – XIX ს.; სხსმ/ნ №3879 – XIX ს.). მოგვიანო მასალებში მოციქულთასწორი დედის განსასვენებელზე სხვა საფლავის ქვა ჩანს, რომელზეც წმინდანის გამოსახულება ყოფილა შესრულებული, ზედწარწერილი ტროპარით, აგრეთვე 1835 წელს შესრულებული გადასაფარებლით. იხ. ბოდბის მონასტრის ნ. გამრეკელისეული აღწერა – ხელნაწერთა ინსტიტუტი, H-2861, ფ. 1r-8r (*ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია*, ტ. VI (თბილისი, 1959), გვ. 255); შდრ.: *„ქუა განმანათლებლის სახითა უჩვენებს ალაგსა მის საფლავისასა; სახე მისი წარმოგვიდგენს უკანასკნელსა წამსა ცხოვრებისასა; თვალნი არიან დახუჭულნი უკვდავების ბეჭდითა, ჴელნი დაკრეფილნი. საფლავის სახურავ ზედა არის წარწერილი: «სიტყვისა ღვთისა მსახურთა თანა მოსაგრე და აზრისა ქადაგებასა წარმატება. ქართველთა განმანათლებელო და სრულიად წმ. ქნარო ნინა, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუⲩნთასა». შემდეგ ამისა წანაწერი: «ძიიღე ესე უნდო ძღვენი წმ. გვამისა შენისა საფლავის გარდასაფარებლად ჩუⲩნ მხევალთა მიერ ნამუშაკევი. ღენერალ მაიორისა და კავალერის, თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულის ნინა გრიბოედოვისა და დისა მისისაგან ეკატრინასაგან». მეორე მხარეს: «შეიწირე ესე, ვითარცა შეიწირა სიტყვამან ღვთისამან ქალწულისა მარიამისაგან ხორც შესხმულმან ემანუელმან, ღმერთმან და კაცმან სრულიად ქერუბიმისა მის წვლილი და მეოხ გვეყვენ სულთა ჩუⲩნთათჳს დღესა მას დიდსა განკითხვისა, ოდეს იგი დადგეს წინაშე მისა, მაშინ მარჯვენეთათანა დგომისა ღირს მყვენ შეწევნითა შენითა. ჩყლე წლისა, იანვრის იდ დღესა» (ნ. გამრეკელი, წმინდა ნინოს ტაძარი (კახეთში), ციხკარი, 1859, გვ. 270–271). 1880-იან წლებში, მ. საბინინის მიერ საფლავის ქვა მარმარილოს ლოდით იქნა შეცვლილი (შდრ. დროება, 1880, №271, გვ. 2–3). ამჟამად წმ. ნინოს საფლავს ახალი ქვა ამკობს; მის ქვეშ, საფლავზე, შესრულებულია მოციქულთასწორი დედის ფერწერული გამოსახულება, რომელიც სრულად გამოჩნდა 1996 წელს, დასაკრძალავზე XIX საუკუნის მიწურულს დადგმული მარმარილოს საფლავის ქვის აღების შემდეგ (წმ. ნინოს საფლავთან დაკავშირებით იხ.: მ. ჯანჯღალია, *წმინდა ნინოს ცხორების ციკლი ბოდბის ტაძრის მოხატულობაში*, *საკანდიდატო დისერტაცია*

ფორმა, ხოლო მის სამშენებლოდ გამოიყენება ქართული აგური (ზომები: 21x22x3 ან 21,5x21x4,5 სმ.).

როგორც ჩანს, დასაკრძალავის გამშვენების ამ ეტაპზე ღირსი მამის ლარნაკს ამკობდა მარმარილოს ფილა წარწერით. სწორედ ამაზე უნდა მიუთითებდეს გაწმენდისას აღმოჩენილი მარმარილოს ფილის ფრაგმენტი XVII-XVIII საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მხედრული წარწერით (იხ. კატალოგი, №7; სურ. 19 და 65₇).

XIX საუკუნის შუახანებისათვის ლარნაკი გაჯით იყო გალესილი და მას ზემოდან ოქრომკედით ნაქარგი საბურველი ფარავდა.[51]

ლარნაკის განახლება-გადაკეთების იმავე პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს უბის აღმოსავლეთ კედელში, ქვედა მონაკვეთზე (უშუალოდ ლარნაკის ზემოთ) შექმნილი თაღოვანი ნიშაც. იგი ხატის დასასვენებლად შეიძლებოდა ყოფილიყო განკუთვნილი. მოგვიანოდ, XIX საუკუნის მიწურულისათვის, იგი გაუუქმებიათ: 1880-იანი წლების ფოტოზე ჩანს, რომ უბის ამ კედელზე, სწორედ ქვედა მხარეს, მაცხოვრის დიდი ზომის ხატი იყო დაკიდებული (სურ. 2, 3). ამასთანავე, არ გამოირიცხება იმის შესაძლებლობაც, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში სწორედ აქ ინახებოდა წმ. დავითის მიერ იერუსალიმიდან ჩამობრძანებული მადლის ქვა (სურ. 50).[52] გარეჯის მრავალმთის ეს ერთ-ერთი უწმინდესი რელიქვია ხანგრძლივი

(თბილისი, 1994), გვ. 155-156). გამოსახულება, როგორც ზემოთ აღინიშნა, XVI-XVII საუკუნეებში უნდა იყოს შესრულებული. იგი მოგვიანოდ ზეთის საღებავებით განუახლებიათ. სავარაუდოა, რომ ეს XIX საუკუნის 20-იან წლებში, ბოდბელი მიტროპოლიტის, იოანე მაყაშვილის ღვაწლით ტაძრის მოხატვის თანადროულად უნდა მომხდარიყო.

51. არქიმანდრიტი ტარასი, მოკლე აღწერა საქართუ©ლოს მონასტერთა, *საქართუ©ლოს სასულიერო მახარებელი*, 1864, VIII, გვ. 41: *„ლუსკუმა წმიდისა დავით გარესჯელისა, მონასტრისა ამის დამაფუძნებელისა, რომელიცა არს გაჯით გალესილ და ოქრომკედით ნაკერის საბურველით დაბურვილ...“.*

52. დაცვის მიზნით გარეჯიდან წამოღებული მადლის ქვა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საგანძურში ინახებოდა. იგი 1990 წელს გადაეცა საქართველოს ეკლესიას და ამჟამად საქართველოს სპატრიარქოშია დაცული.

დროის მანძილზე წმ. დავითის სამარხზე იყო დაბრძანებული,[53] მოგვიანოდ კი, ძნელბედობისას, დაცვის მიზნით, იგი იქვე, საგანგებო ნიშაში შეუნახავთ. 1811 წელს, მონასტრის იმჟამინდელ წინამძღვარს, ილარიონს განუზრახავს მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიის განახლება და მისი სამხრეთი კედლის აღდგენა:

„იწყორა საფუძვლითგან შენება მისი, მოსთხოვა საჭიროებამან განსწორება კანკლისა თანა საკურთხეველის ძველის ოთხკუთხედის სვეტისა მის, რომელ არს ფერხით კერძო წმიდისა დავითისა, და განვრცელებაცა კამარისა მის, რომლისა ქვეშე არს ლუსკუმა ღირსისა ამის, ხოლო ჩამოაქცია-რა ნახევარი სვეტისა მის ფერხით კერძო წმიდისა მის, გამოჩნდა კედელი გაკვით გალესილი, და მას ზედა დახატული ხატი წმიდისა დავითისა, და ღირსისა დოდდოსი, რეცა ურთიერთარს ხელთა ამბორისმყოფელნი და მნიშვნელნი ახლად შემთხვევისა მათისანი მხიარულითა სახითა, რომელსაცა ცხად ჰყოფდა მისვე გამოხატულებისა თავსა ზედა წარწერილი ესრეთ: "ხატი წმიდისა დავითისა იერუსალიმით მოსლვისა". გარნა კვალად ისაჭიროვა მის ჟამისა ეკკლესიისა მის სრულიად განახლებამან კედლისაცა მის ჩამოქცევა ხატითურთ გასასწორებელად კანკლისა თანა, და რაჟამს ჩამოქცეულ-იქმნა, გამოჩნდა კვალად სხვა კედელი და მას შინ თახჩა მცირე გაკვითავე გალესილნი, და მას თახჩასა შინა მცირე სორო, რომელსაც შინა იდვა ქვა იგი პატიოსანი წმიდისა დავითისაგან იერუსალიმით მოხმული, სადაცა იჩვენებოდა ნანთებობა სანთლისა, და კვალად ნაღვენთნიცა სიძველისაგან უფერულ-ქმნილნი. ქვა ესე არს რაოდენობით ბატის კვერცხზედ მცირედრე ნაკლები და მსგავსადვე მისა მოგრძო, თავსა ზედა აქვს ხალი დაძველებულის სისხლის ფერი, და ცალს გვერდზედ იმავე ფერით წვრილად ჩაწრეულებული თავითგან ვიდრე ბოლოდმდე, ხოლო ფერით არს საშუალი წითლისა და თეთრისა, გარნა მოქმედი კურნებისა სარწმუნოებით შეშხებელთა მისთად. რომელიცა, ვინადგან იყო ესე ძველადვე დაკრძალულ წმიდათა მამათაგან ხსენებულსა მას კედელსა შინა, ამისთვის აწინდელთაცა ძმათა მის სავანისათა შედგომილთა მაგალითს ძველთა მათ მამათასა, შემდგომად პოვნისა რაოდენისამე წლისა დაკრძალიან იგი მისვე ეკკლესიასა

53. ეპისკოპოსი კირიონი, ამბავი დავით გარესჯის უდაბნოს საკვირველთმოქმედის მადლის ქვისა (ტფილისი, 1899), გვ. 8-9.

საიდუმლოსა ადგილსა შინა, რომელიცა არა ყოველთა იცოდიან, გარდა უხუცესთა ძმათა კიდე, და დღესასწაულსა ამის წმიდისასა გამოიღიან ამბორის საყოფელად და კვალად დაკრძალიან."[54]

მადლის ქვა წმ. დავითის ლარნაკზე იყო დაბრძანებული XIX საუკუნის შუახანებშიც, მაშინ როდესაც იგი ა. მურავიოვმა ნახა,[55] აგრეთვე XIX საუკუნის მიწურულს, როდესაც მას ახსენებს ეპისკოპოსი კირიონი.[56] კანკელზე მიყუდებული იყო დიდი ხატიც წმ. დავითისა.[57] ეპისკოპოს კირიონთან ნახსენებია ვერცხლის კანდელი (серебряное паникадило), რომელიც ღირსი მამის ლარნაკის თავზე ეკიდა.[58]

1851 წლის 18 ივლისს, ლეკების მიერ წმ. დავითის ლავრის აოხრებამ მონასტრის თითქმის მთელი საგანძური შეიწირა. სასწაულებრივად გადარჩა მხოლოდ მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესია და წმ. დავითის საფლავი, რომლისთვისაც მომხდურებს ვერ მიუგნიათ.[59] თუმცა შემდეგში, 1857 წლის 1 ოქტომბრის დარბევისას, ხელყოფას ვერც იგი გადაურჩა: *„ძაშინლა პოვეს სასაფლაოს ეკლესიის კარი, სადაცა დამარხულ არს წმიდა დავით და განტეხეს კარი მისი და მუნ დაშთენილნი ნივთნი წარიღეს ყოველივე, მარგალიტის ფილონი, ბარძიმნი, ჯუარნი, სახარებანი და კანდელნი ვეცხლისანი, ზედა საბურველი საფლავისა, რომელ იყო ოქრო ქსოვილი, მიტრანი და ყოველნი ძჯრფასნი ნივთნი; და წარიღეს მადლის ქუა, რომელ მოტანილ-იყო წმიდისა დავითისა-მიერ იერუსალიმით."*[60]

---

54. არქიმანდრიტი ტარასი, მოკლე აღწერა საქართუ©ლოს მონასტერთა, *საქართუ©ლოს სასულიერო მახარებელი*, 1864, VIII, გვ. 42-43; შდრ: ეპისკოპოსი კირიონი (*ამბავი დავით გარესჯის უდაბნოს საკვირველ-მომქმედის მადლის ქვისა*, გვ. 10-11; მისივე, *Преподобный Давид Гареджели и его Лавра*, გვ. 23-24) აგრეთვე, უფრო მოკლედ – მღვდელმონაზონი კალისტრატე, *წმიდის დავით გარესჯელის უდაბნო* (თბილისი, 1884), გვ. 15-16).

55. А. Муравьев, *Грузия и Армения*, I (СПб., 1848), с. 106.

56. Е[пископ] К[ирион], *Преподобный Давид Гареджели и его Лавра*, გვ. 26-27.

57. А. Муравьев, *Грузия и Армения*, I, გვ. 106.

58. Е[пископ] К[ирион], *Преподобный Давид Гареджели и его Лавра*, გვ. 40.

59. მორჩილი სფირიდონ გრძელიშვილი, აოხრება წმიდის დავით გარეჯის უდაბნოსა, *საქართუ©ლოს სასულიერო მახარებელი*, 1868, III, გვ. 81.

60. იქვე, გვ. 84.

XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის გარეჯში სამონასტრო ცხოვრება მხოლოდ წმ. დავითის ლავრასა და წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრებში გრძელდება. ამასთანავე, გარკვეულწილად იჩენს თავს მრავალმთის სიწმინდეებისადმი იმჟამინდელი საქართველოს საზოგადოების ყურადღების გაძლიერებაც, რაც მომლოცველთა, მოგზაურთა და სიძველეთა მოყვარულების პუბლიკაციებიდანაც ჩანს.[61] საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ჯერ კიდევ 1860-იან წლებში განზრახული იყო წმ. დავითის ლუსკუ-

61. А. Муравьев, Грузия и Армения, I, გვ. 55-116; არქიმანდრიტი ტარასი, მოკლე აღწერა საქართუ*ბ*ლოს მონასტერთა, 1864, VIII, გვ. 36-50 (წმ. დავითის ლავრა) და IX, გვ. 72-76; მორჩილი სპირიდონ გრძელიშვილი, აოხრება წმიდის დავით გარეჯის უდაბნოსა, *საქართუ*ბ*ლოს სასულიერო მახარებელი*, 1868, III, გვ. 81-85; ე. საბინინი, უწყება ღირსისა მამისა ჩუ*ბ*ნისა დოდოსთჯს, *საქართველოს სამოთხე* (ტფილისი, 1882), გვ. 636-639; მღვდელმონაზონი კალისტრატე, *წმიდის დავით გარეჯელის უდაბნო* (თბილისი, 1884); მღვდელი მიხეილ ხელაშვილი, ნათლისმცემლის უდაბნო კახეთში, *ივერია*, 1886, №207, გვ. 3-4, №208, გვ. 3-4; პ. კარბელაშვილი, კატალოგი დავით გარეჯის უდაბნოს ძველის ხელნაწერის წიგნებისა, შედგენილი 4 ფებერვალს 1886-ს წ., *ივერია*, 1886, №159, გვ. 3-4; მისივე, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო მინაწერები დავით გარესჯის უდაბნოს ტყავზედ ნაწერის ხელ-ნაწერებისა, *ივერია*, 1889, №№26, 28, 30, 32; მისივე, დავით გარესჯის უდაბნო, *ივერია*, 1893, №64; მისივე, დავით გარესჯის უდაბნოს გუჯრები, *ივერია*, 1893, №№72, 78, 87, 88, 89, 90, 91, 93, 95, 97, 130, 135, 136, 140; მისივე, დავით გარესჯის უდაბნოში, *ივერია*, 1895, №№116, 117, 122, 179; მისივე, *მრავალ მთის უდაბნოებში*, საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1461, საქმე 75; Протоиерей Г. Хеладзе, Избиение иноков в обители св. Давида Гареджийского, *Духовный Вестник Грузинского Экзархата*, 1882, №9, Прибавление, с. 14-22; ერთი მეინახეთაგანი, იოანე ნათლისმცემლის და დავით გარეჯელის უდაბნო, *ცნობის ფურცელი*, 1899, №855, გვ. 2-3; მორჩილი რ. ბარამიძე, დავით გარეჯის მონასტერი და მისი დღეობა, *ცნობის ფურცელი*, 1899, №836; მისივე, იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს დღეობის გამო, *ცნობის ფურცელი*, 1899, №849, გვ. 2-3; მისივე, თამარ მეფის სურათი „ბერთუბანში", *ივერია*, 1900, №57, გვ. 4; Епископ Кирион, *Повествование о чудотворном благодатном камне Давидо-Гареджийской пустыни* (Тбилиси, 1899); მისივე, *ამბავი დავით გარესჯის უდაბნოს საკვირველ-მომქმედის მადლის ქვისა* (ტფილისი, 1899); მისივე, *Преподобный Давид Гареджели и его Лавра* (Тифлис, 1901).

მის განახლება-გამშვენება. ამის სურვილი გამოუთქვამს ოსტატ თეოდორ რუბცოვს. მონასტრის წინამძღვრის, იოანეს მიერ საქართველოს ექზარქოს ევსევისადმი (1857-1877 წწ.) გაგზავნილ რაპორტში სხვა ცნობებთან ერთად დასახელებულია ლარნაკის იმჟამინდელი ფორმა და აღნაგობა: მას წაგრძელებული სწორკუთხა ფორმა ჰქონდა; სიგრძით ყოფილა ოთხი არშინი და ერთი ვერშოკი (285 სმ.), ხოლო სიგანით – ერთი არშინი და თოთხმეტი ვერშოკი (132 სმ). წერილში მითითებულია ლარნაკის სიმაღლე ეკლესიის დარბაზის იატაკიდან – არაუმეტეს ნახევარი არშინისა (36 სმ.). დასაკრძალავი იმჟამად უკვე აგებული ყოფილა აგურით კირხსნარზე, მას თაღი გადასდევდა (возведена сводом), ამასთან, რაც მთავარია, ჰქონდა მცირე ხვრელი ხელის ჩასაყოფად და მომლოცველთა მიერ წმინდა მტვრის ამოსაღებად (для доставления священного праха). რაპორტიდან ისე ჩანს, რომ შემოწმების მიზნით იმხანად ნაწილობრივ უნდა გაეხსნათ ღირსი მამის განსასვენებელი; ამის შედეგად გაირკვა, რომ წმინდა ნეშტის ჩასასვენებელი ორმო ლარნაკის ზედაპირიდან სამი არშინისა და თერთმეტი ვერშოკის სიღრმეზე (262 სმ.) ყოფილა. მონასტრის წინამძღვრის აზრით, ლარნაკი ხელუხლებლად უნდა დაეტოვებინათ, ხოლო ოსტატ რუბცოვს მასზე უნდა აღემართა სარკოფაგის სახის ახალი საბურველი, ამასთან ისე, რომ არ დახურულიყო წმინდა მტვრის ამოსაღები ხვრელი. ახალი ლარნაკი, ოსტატის მიერ წარმოდგენილი პროექტით, ზომით ორჯერ ნაკლები იყო არსებულზე.[62] როგორც ჩანს, იმხანად ყოველივე ეს ვერ მოხერხდა და წმ. დავითის საფლავზე აღმართული ლარნაკის განახლება რამდენადმე უფრო მოგვიანოდ, 1880-იანი წლებისათვის მიქაელ-გობრონ საბინინის თაოსნობით განხორციელდა.[63] ღირსი მამის

---

62 საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 500, აღწ. 2, საქმე 350.

63 როგორც ჩანს, განსასვენებლის განახლების სწორედ ამ ეტაპს უნდა ეკუთვნოდეს ქვითკირის ნალესობის ის მრავალრიცხოვანი, სხვადასხვა ზომის ფრაგმენტები, რომლებიც წმ. დავითის ლარნაკის ზედა მონაკვეთზე აღმოჩნდა მიწასთან ერთად არეული. გულმოდგინება, რომლითაც ნალესობა გამორჩევა, ცხადად ჩანს როგორც მისი შედგენილობის (წვრილმარცვლოვანი მრგვალი და ნატეხი არგილიტების ჩანართებით) და სიმტკიცის, ისე მის ზედმიწევნით გასწორებულ ზედაპირის მიხედვით. ბათქაში ერთი (სავარაუდოდ – ზედა) მხრიდან მოწითალო საღებავით უნდა ყოფილიყო დაფერილი – ამ ფერის პიგმენტის ფენა ფაქტობრივად ყველა ფრაგმენტზე შემორჩა.

დასაკრძალავი საფუძვლიანად განუახლებიათ: მასზე დადებულ იქნა მარ-მარილოს ფილა გარსშემოყოლებული წარწერით; XIX საუკუნის მიწურუ-ლის ფოტოზე ჩანს, რომ ლარნაკი მარმარილოს ფილით იქნა გამშვენებული. როგორც აღინიშნა, ლარნაკის აღმოსავლეთით, უბის აღმოსავლეთ კედელზე დაბრძანებული იყო მაცხოვრის დიდი ზომის ფერწერული ხატი, რომელიც, სტილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ასევე XIX საუკუნეში უნდა ყოფილი-ყო შესრულებული (შდრ. სურ. 2). დაახლოებით იმავე პერიოდს ეკუთვნის მღვდელმონაზონ კალისტრატეს ცნობა, რომლის მიხედვითაც წმ. დავითის ლარნაკი გაჯით იყო გალესილი, ამასთან – „ზედ სდგას ახალი კაკლის კუბო ვარაყიანი და ზედ გამოხატულება წმიდა დავითისა, ოქრომკედის ნაქსოვი ფარჩით დაფარებული."[64] რა კუბო იგულისხმება აქ გაუგებარია, რადგან მ. საბინინის თაოსნობით ლარნაკზე მარმარილოს ქვა დაიდო. შესაძლოა აქ იგულისხმებოდეს საფლავის ფილის შიდა ნაწილი წმ. დავითის გამოსახულე-ბით, რომელიც კაკლის ხეში უნდა გამოეკვეთათ.

1926 წელს ღირსი მამის საფლავის ქვა გ. ბოჭორიძეს წმ. დავითის ლავრის ეზოში დაგდებული დახვედრია.[65] დაცვის მიზნით იგი ტარის პუნ-ქტში გადაუტანიათ. ქვა მონასტრის დამარბეველთა მიერ იმხანადვე ორად იყო გატეხილი. ამჟამად ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არმაზისხევის ლაპიდარიუმში (საინვ. №220). მარმარილოს ფილა დიდი ზომისაა (225x98 სმ). მისი შუა მონაკვეთი ამოღებულია – იგი სხვა ქვისა ან, როგორც ზემოთ აღინიშნა, სულაც ხისა (კაკლისა) უნდა ყოფილიყო, ამასთან წმ. დავითის გამოსახულებით გამშვენებული. ფილა გასული საუ-კუნის 20-იან წლებში უკვე დაკარგული (ან განადგურებული) ყოფილა. მარმარილოს ფილის კიდეებს შემოყოლებული ასომთავრული წარწერა ასე იკითხება:

---

64 მღვდელმონაზონი კალისტრატე, *წმიდა დავით გარესჯელის უდაბნო*, გვ. 14. ოქრომკედის გადასაფარებელს ახსენებს ეპისკოპოსი კირიონიც Е[пископ] К[ирион], *Преподобный Давид Гареджели и его Лавра*, გვ. 40).

65 საექსპედიციო მასალები, რომლებიც მკვლევარის პირად არქივშია დაცული (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1753, გ. ბოჭორიძის პი-რადი არქივი, საქმე №105).

ႢႬႠႲႰႨႧ ႸႤႬ ႶႨႰႱႭ ႫႠႫႠႭ ႣႠႥႨႧ ႣႠ ႮႠႲႨႥႱ ႢႺႤႫႧ
Ⴜ̃Ⴀ ႤႱႤႬႤႡႠႱႠ ႸႤႬႱႠ ႼႨႬႠႫႻႶႥႠႰႭ ႫႭႬႠ
ႦႭႬႧႠႭ ႣႠ ႧႠႬႠႫႩႣႣႰႭ ႠႬႢႤႪႭႱႧႠႭ. Ⴜ. ႹႷႣႡ
ႸႤႨႼႷႠႪႤ ႱႠႡႨႬႨႬႨ ႤႵႱႭႰႨႭႡႠႱႠ

გნატრით შენ ღირსო მამაო დავით და პატივს გცემთ | წ(მიდას)ა ჴსენებასა შენსა, წინამძღვარო მონა|ზონთაო და თანამკჳდრო ანგელოსთაო. წ(ელსა) ჩყჳბ, | შეიწყალე საბინინი ექსორიობასა.[66]

XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისიდან, გარეჯის უდაბნოში სამონასტრო ცხოვრების შეწყვეტისთანავე იწყება მრავალმთის უმთავრესი კერების რბევა-გაპარტახება; 1917-1918 წლებში მონასტრის დამარბევლებმა არ დაინდეს ადგილობრივი სიწმინდეებიც, მათ შორის ღირსი მამის განსასვენებელი. ხელყოფილ იქნა წმ. დავითისა და წმ. დოდოს ლუსკუმები.[67]

1960-იან წლებში, ფერისცვალების ეკლესიაში ჩატარებული სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების დროს, განხორციელდა წმ. დავით გარეჯელის განსასვენებლის ე.წ. რესტავრაცია. შენარჩუნებულ იქნა ლარნაკის გვიან შუა საუკუნეების გეგმარება, ხოლო შიდა სივრცე შევსებულ იქნა უდიერად – ქვა-ღორღოვანი 40 სმ. სისქის ფენით – ამ პერიოდის მინის, კერამიკის და ლითონის ნივთების ფრაგმენტებით, აგრეთვე სამშენე-

66. წარწერა მოტანილია გ. ბოჭორიძესთანაც (იქვე).

67. ამის თაობაზე აღნიშნავდა გ. ჩუბინაშვილი, რომლის მითითებითაც მრავალმთის მონასტერთა დარბევის შესახებ იმჟამინდელ გაზეთებშიც დაიწერა (Г. Чубинашвили, *Пещерные монастыри Давид Гареджи* (Тбилиси, 1948), с. 11); შდრ. გაზეთ „საქართველოს" ცნობა იმის თაობაზე, რომ 1918 წლის *„იანვრის ათს დავით-გარეჯის უდაბნოს დაეცა თათრების შეიარაღებული რაზმი. რაზმს თან ახლდნენ უიარაღონიც. მთლად გაძარცვეს უდაბნო, გახრწნეს, ბერები დალახეს, ყარაულს იარაღი აჰყარეს და უწყალოდ სცემეს, დაამტვრიეს და მილეწ-მოლეწეს კანკელები, ტრაპეზები, ხატები. ისე გახრწნეს რო უბრალო სკამიც-კი არ დაუტოვებიათ. მოგეხსენებათ, რომ დავით-გარეჯის უდაბნო შესანიშნავი ისტორიული ნაშთია, აღსავსე ფასდაუდებელი ისტორიულის მნიშვნელობის საღმრთო ნივთებითა. ასეთი დღე ამ უდაბნოს არ დასდგომია შაჰაბაზის დროსაც-კი. . ."* (მღვდელმონაზონი გერმოგენი, დავით-გარეჯის უდაბნოს აკლება, *„საქართველო"* 1918 წ., 18 (31) იანვარი, № 14, გვ. 2).

ბლო მასალის ნარჩენებით. ლუსკუმის სწორკუთხა ფორმის საბურველი ცემენტის უხეში ხსნარით სქლად გადაილესა.

ღირსი მამის საფლავის გახსნისთანავე გარეჯში ჩამობრძანდა უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, რომელმაც გადაიხადა პარაკლისი (სურ. 51); მან ჩამოაბრძანა თასი მაცხოვრის შობის გამოსახულებით, გადასაფარებელი და იერუსალიმის მიწა. წმ. დავითის ნეშტს ზემოდან მოებნა იერუსალიმის მიწა, მოესხა კეთილსურნელი, დაესვენა თასი და გადაეფარა კეთილსურნელით გაჟღენთილი გადასაფარებლი. ამის შემდეგ ნეშტი მიწით დაიფარა. ღირსი მამის საფლავიდან აღებულ იქნა წმინდა ნაწილი, რომელიც ამჟამად საქართველოს საპატრიარქოში ინახება.

(წმ. დავითის დასაკრძალავის გაწმენდითი სამუშაოების დასრულებისთანავე, 2000 წლის შემოდგომაზე, განსასვენებელს მიეცა სათანადო სახე – ღირსი მამის ლარნაკი ქვით იქნა მოპირკეთებული; ლარნაკზე დაიდო გამოსახულებებით, წარწერითა და ორნამენტებით გამშვენებული საფლავის ფილა)(ესკიზის ავტორები – თეიმურაზ ბერიძე, კონსტანტინე ბერიძე, მამუკა მიქელაძე; მოქანდაკე – პაატა გიგაური)(ფილაზე გამოსახულია ირემი და კვერთხი (სურ. 49). ირემი, წმინდა ცხოველი,[68] საერთოქრისტიანულ სახისმეტყველებით ტრადიციაში სიკეთის სუფევის, ბოროტზე მისი ძლევის, უფლის წყალობასთან, მისდამი თანაზიარობასთანაა დაკავშირებული.[69] რაც მთავარია, იგი უშუალოდ მიემართება წმ. დავითის მოღვაწეობასა და მის სასწაულებს.[70] ამას გარდა, საფლავის ფილას აქვს მომცრო ზომის საგანგებო ფოსო,

68. შდრ. II მსაჯ. XII:15, 22; XV:22.

69. გამოსლ. XLXIX:21; II მეფ. XXII:22, 34; ეს. XXXV:6; ფსალმ. XVII:34, XLI:2.

70. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა დავით გარესჯელისაჲ, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, I, გვ. 231 და შემდ.; ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დავით გარესჯელისაჲ, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, III, გვ. 181 და შემდ.; ცხოვრება წმიდისა ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დავით გარესჯელისა მეუდაბნოესი, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, III, გვ. 294 და შემდ.

რომელშიც წმ. დავითის მიერ იერუსალიმიდან ჩამობრძანებული მადლის ქვის ასლია დასვენებული მომლოცველთათვის, მისაახლებლად და სამთხვევად.

უფლის ფერისცვალების ეკლესიის, როგორც გარეჯელ წმინდა მამათა განსასვენებლის, ისტორია არასრული იქნებოდა იქ არსებულ სხვა დასაკრძალავებთან დაკავშირებულ საკითხთა გათვალისწინების გარეშე. ამ მხრივ არსებითი ჩანს წმ. დავით გარეჯელის უპირველესი მოწაფის, წმ. ლუკიანეს დასაკრძალავის ადგილსამყოფელის გარკვევა.

მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთ უბეში არსებული ლარნაკი, თავისი ფორმითა და ზომებით თანაფარდი წმ. დავითის საფლავისა, ამასთან ასევე ბეტონის ხსნარით გადალესილი, ცნობილი იყო როგორც წმ. დოდოს ლუსკუმა (სურ. 53).[71]

ამავე დროს მონასტერში არსებობდა გადმოცემა, რომლის თანახმადაც წმ. ლუკიანე დაკრძალული იყო დავითის საფლავთანვე, მის ლარნაკთან გაყოლებით არსებული საფეხურის ქვეშ. ამის თაობაზე მოგვითხრობს ა. მურავიოვი: „С глубоким благоговением взошел я в подземное святилище, созданное усердием обращенного Князя Бубакара, и простерся на высокой ступени гробницы блаженного Аввы; и эта ступень служит также могильною плитою: тут погребен рядом с ним ученик его Лукиан, сотрудник в подвижнической жизни и преемник в настоятельстве Лавры.... здесь смиренный Лукиан почивает ступенью ниже великаго отца своего.“[72]

ფერისცვალების ეკლესიის ჩრდილოეთ უბეში მდებარე ლუსკუმას გ. ჩუბინაშვილი ლუკიანეს დასაკრძალავად მიიჩნევდა: „Давид лежит как бы в нише, под средним окном у южной стены церкви, а Лукиан погребен у северной стены придела. Или как выражает агиограф: где во внешней части прямо напротив св. тела находится ныне могила св. Лукиана“.[73] როგორც ჩანს, სწორედ ამ მითითებას დაეფუძნა მომდევნო ათწლეულების მანძილზე

---

71. შდრ.: *„მამა დავითის საფლავი არის მარჯვნივ კანკელის წინ, სამხრეთით; მის პირდაპირ ჩრდილოეთით არის ლუსკუმა ღირსის დოდოსი“* (ა. კარბელაშვილი, დავით გარესჯის უდაბნოში, *ივერია*, 1895, № 179, გვ. 2).

72. А. Муравьев, *Грузия и Армения*, I, გვ. 106.

73. Г. Чубинашвили, *Пещерные монастыри Давид Гареджи*, გვ. 40.

დამკვიდრებული მოსაზრება წმ. დავითის განსასვენებლის მოპირდაპირე მხარეს წმ. ლუკიანეს ლუსკუმის არსებობის თაობაზე.

2000 წლის აგვისტოს დასაწყისში, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის კურთხევით, გადაწყდა ლუსკუმის გახსნა. აგურით ნაშენები ლარნაკის დაშლის შემდეგ ჩრდილოეთი უბის იატაკზე გამოჩნდა მცირედ ჩაკვეთილი კონტურით მონიშნული სწორკუთხა არე, თავისი ზომებით ფაქტობრივად შესაბამისი წმ. დავითის ლარნაკისა. ამ არეზე, სახელდობრ მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, აღმოჩნდა იატაკში ამოკვეთილი მომცრო ლუსკუმა (ზომებია: სიგრძე – 70x30 სმ.; სიღრმე – 35 სმ.) წმინდანის ნეშტის ნაწილებით (სურ. 55-58). ლუსკუმა აშკარად გვიან ხანაში შეიქმნა წმინდა ნაწილების (და არა სრული ნეშტის) ჩასასვენებლად. საამისოდ რამდენადმე უნდა გადაეკეთებინათ ეკლესიის ჩრდილოეთი უბე: მის კედელ-კამარას აშკარად ატყვია მოგვიანო გადაკეთებათა კვალი (სურ. 6, 62). როგორც ჩანს, თავდაპირველად განზრახული იყო წმ. დავითის განსასვენებლის მსგავსად დიდი ზომის ლარნაკის შექმნა, მაგრამ ეს ვერ განხორციელდა და წმინდა ნაწილები სახელდახელოდ ამოკვეთილ მცირე ლუსკუმაში იქნა ჩასვენებული.

ისტორიული რეალიების გათვალისწინებით ცხადი ხდება, რომ ტაძრის ამ ნაწილში ლუსკუმა მართლაც წმ. დოდოს ნაწილთა ჩასასვენებლად შეიქმნა. კარგადაა ცნობილი, რომ 1880 წლის 16 მარტს, მიქაელ-გობრონ საბინინის თაოსნობით, ღირსი მამის წმინდა ნაწილები დოდოს რქის გაუკაცრიელებული მონასტრიდან გადმოასვენეს წმ. დავითის ლავრაში და მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიაში დაკრძალეს.[74] ამაზე მისი ერთ-

74. მასალები და მონაცემები, რომლებიც წმ. დოდოს ნაწილთა წმ. დავითის ლავრაში გადასვენებასთან დაკავშირებით არსებობს (იხ. ქვემოთ, მომდევნო, №75 და №76 შენიშვნებში), გარკვეულად ეწინააღმდეგება მ. საბინინის ცნობას: „*შევასუ Ѳნეთ ღ. დავითის საფლავის ეკკლესიასა შინა – და დავასუ Ѳნეთ ღ. საფლავსა ზედა, დრომდინ ით დღესა წარვემართენით მე და მთავარი სფირიდონ ტფილისს, ვიწყე კაკლის ლუსკუმის შემზადება წმ. ნაწილთათჳს, ოდეს შევმზადე გაუგ ზავნე უდაბნოს, რათა ჩაესუ Ѳნებინათ მას შინა წმიდანი ნაწილნი და დაედგათ წმიდა ლუსკუმა, თანა ჰსწორ საფლავისა ღ. დავითისა, ქუ Ѳმო ეკკლესიასა შინაჩრდილოეთის მხრივ. მე მეორედ არ წაველ უდაბნოს, რათა თჳთ აღმესრულებინა, მიზეზისა გამო რუსეთს განგზაურობისა; მივანდე ეს კეთილი და სამაგალითო საქმე მამათა, არამეთ დიდი დაბრკოლება*

ერთი მონაწილე პირდაპირ წერს კიდეც: „და შევასვენეთ ეკკლესიასა შინა, სადაცა არს საფლავი წმინდა დავით გარეჯელისა და დავკრძალეთ მოძღვარი მოწაფესთანა, რამეთუ ღირსი დოდოს მოძღვარი იყო დავითისა წმინდისა."[75] ცნობილია ისიც, რომ წმინდა ნაწილებისათვის იმხანადვე შეიქმნა

მოუხდათ მამათ დაბეზღებისა გამო არხიმანდრიტ მაკარის მიერ კანტორაში, რომელმანცა დააბრკოლა კეთილი საქმე ესე... იმოდენა ეცადა კანტორაში, ვიდრემდის კანტორამ არ გადასწყვიტა ვითარმედ „გამოიტანონ ნაწილნი წმ. დოდოსი ეკკლესიიდგანო და მონასტრის გალავანში ჩაფლანო". ეს განკარგულება გამოუცხადეს არხიმანდრიტ გრიგორ დადიანს – რომელმან უცეფ გამოატანინა წმიდანი ნაწილნი ეკკლესიიდგან მონასტრისე ზო ში. ძმათა შექმნეს მცირე ხის ლუსკუმა, შიგ ჩააწყეს დიდებულნი ღვთივ შემოსილნი და სუნნელებით ყნოსოვანნი ნაწილნი წმ. დოდოსი და აღმოათხრევინა მაკარიმ მონასტრის გალავანში მიწა, სადაც ასუენიან წმ. ნაწილნი ღირსთა მოწაძეთა შიო ახლისა და სხუათა, რომელთა ხსენება იდღესასწაულების ა ივნისსა და იქ ჩააფლევინა" (მ. საბინინი, *საქართველოს სამოთხე*, გვ. 639). ფაქტების ამგვარი შეუსაბამობა, ერთი შეხედვით, უჩვეულო ჩანს, თუმცა გასათვალისწინებელია მ. საბინინის მითითება, რომ წმ. მამის ნაწილთა დაკრძალვისას იგი საქართველოში არ იმყოფებოდა (იქვე). ბუნებრივია, არ გამორიცხება ისიც, რომ ღირსი მამის დასაკრძალავის გათხრასა და ნაწილთა გადმოსვენებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი და შემდგომში უაღრესად გამწვავებული პოლემიკის პირობებში მოვლენის ცალკეული ეპიზოდები (მათ შორის – ღირსი მამის ნაწილთა დაკრძალვის დეტალები) თითოეული მხარის მიერ თავისებურად იქნა გადმოცემული.

1913 წელს გარეჯის მრავალმთის რამდენიმე მონასტერში ე. თაყაიშვილის მიერ მოწყობილი ექსპედიციის დროს თ. ქიუნეს მიერ გადაღებულ ფოტოზე (ხი, ე. თაყაიშვილის პირადი არქივი, №295) ჩანს ღირსი მამის წმინდა ნაწილთა ჩასასვენებელი ლარნაკი: იგი თავისი ზომებით წმ. დავითის ლარნაკის თანაფარდი იყო, როგორც ჩანს, ხისგან შექმნილი, ლითონის (ბრინჯაოს) დეტალებით გამშვენებული და საფლავის გადასაფარებლით დაფარული. დასაკრძალავზე დასვენებული იყო წმ. დოდოს ფერწერული ხატი. როგორც ჩანს ამ ზომის ლარნაკი წმ. დავითის დასაკრძალავის ანალოგიით შეიქმნა, საკუთრივ წმინდა ნაწილები კი იმთავითვე უნდა ჩასვენებინათ იატაკში საგანგებოდ ამოკვეთილ მომცრო ლუსკუმაში.

75. ხელნაწერთა ინსტიტუტი, S-3283d.

საგანგებო ლუსკუმა.[76] ამ ფაქტს საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია უნდა გამოეწვია – დაიწერა მწვავე გამოხმაურება,[77] რაც შემდგომში პოლემიკის საგანიც გახდა.[78]

წმ. დოდო გარეჯელის ლუსკუმის გახსნისა და მის წმინდა ნაწილთა აღმოჩენის შემდეგ გარეჯში კვლავ ჩამობრძანდა უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და გადაიხადა პარაკლისი.

2001 წელს, საქართველოს საპატრიარქოს სიწმინდეთა მოძიებისა და დაცვის განყოფილებაში დამუშავებული პროექტის საფუძველზე (ავტორი – იმავე განყოფილების წევრი თ. ბერიძე), შეიქმნა საგანგებო ლარნაკი მცირე ზომის სარკოფაგის სახით, რომელშიც წმ. დოდოს ნაწილები იქნა ჩასვენებული. ლარნაკი მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიის დარბაზის ჩრდილო აღმოსავლეთ უბეში, 1880 წელს ღირსი მამის გადმოსვენებისას შექმნილ მცირე ლუსკუმაზე აღიმართა (სურ. 62, 63).

ამრიგად, წმ. ლუკიანეს განსასვენებელი მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიის სხვა მონაკვეთშია საძიებელი.

სად შეიძლება ყოფილიყო წმ. დავითის მოწაფისა და თანამდგომის სამარხი?

როგორც ჩანს, გადმოცემა წმ. ლუკიანეს დასაკრძალავის თაობაზე მრავალმთის სამონასტრო გაერთიანებაში ასწლეულთა მანძილზე მივიწყებულ იქნა. სწორედ ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ მრავალმთის მონას-

---

76. შდრ. იოანე ბერძენიშვილის მითითება: *„ბატონ საბინინს ძვლები წაუღია დავითის უდაბნოში და ჩაულაგებია მისთვის განმზადებულს კუბოში“* (ი. ბერძენოვი, წმინდა დოდოს მონასტერი, დროება, 1881, 10 ივნისი, №118, გვ. 3); ამის პასუხად მ. საბინინი შენიშნავდა: *„განა ჩვენმა მამათ-მთავარმა არ იცოდა ყოველის ფერი და არა იმის განკარგულებითა შეეამზადე ლუსკუმა გარდასვენებულთა წმ. ნაწილთათვის?“* (მ. საბინინი, ჩემი პასუხი იოანნე გრიგორის-ძეს ბერძენოვს, დროება, 1881, 27 ივნისი, №133, გვ. 3).

77. ი. ბერძენოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

78. მ. საბინინი, ჩემი პასუხი იოანნე გრიგორის-ძეს ბერძენოვს, გვ. 3; შდრ. აგრეთვე, არქიმანდრიტი მაკარი, წერილი რედაქტორთან, დროება, 1881, 3 ივლისი, №170. ამ მოვლენებთან დაკავშირებით აგრეთვე იხ. ნ. პაპუაშვილი, მ. საბინინის ინფორმაციის კვალდაკვალ „ჯვარშემოსილის“ შესახებ, *გულანი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი* (თბილისი, 1989), გვ. 271-281.

ტერთა საბუთებში წმ. დავითის საფლავთან ერთად ფაქტობრივად არ გვხვდება მითითება მისი უპირველესი მოწაფის დასაკრძალავის თაობაზე.[79] ამაზეევ

79. XIII–XVIII საუკუნეების სამ ასეულზე მეტ იმ საბუთში, რომლებიც გარეჯის მრავალმთის სამონასტრო გაერთიანებასთანაა დაკავშირებული, ხშირად იხსენიება წმ. დავითის საფლავი. უმეტეს შემთხვევაში ეს სახელი წმ. დავითის ლავრას მიემართება (ხი, Ad-6 – 1479 წ. (ქსძ, VI, გვ. 708–709); სცსსა, 1449, №1060/1062 – 1479 წ.; სცსსა, 1449, №1077 – 1482 წ.; ხი, Hd-1377 – 1597 წ. (ქრონიკები, II, გვ. 429–230); სცსსა, 1449, №1837 – 1662 წ.; ხი, Ad-36 – 1689 წ. (ქსძ, III, გვ. 596); ხი, Ad-407 – 1689 წ. (ქკმეის, გვ. 8–9); სცსსა, 1449, №1833 - 1690 წ.; სცსსა, 1449, №1834 – 1690 წ.; ხი, Ad-89 – 1692 წ. (ქსძ. II, გვ. 230–231); სცსსა, 1448, №1469 – 1696 წ. (ქსძ. II, 232–233); სცსსა, 1448, №5011 – 1697 წ.; ხი, Pd-64 – 1698 წ. (ქსოის, გვ. 34–35); ხი, Ad-87 – 1699 წ.; სცსსა, 1449, №1830 – 1699 წ.; ხი, Ad-2220 – 1700 წ.; ხი, Ad-36 – 1702 წ. (ქსძ, III, 635–636); სცსსა, 1449, №2497 – 1703–1722 წწ.; სცსსა, 1451 №153 – 1703–1722 წწ.; სცსსა, 1449, №2017 – 1708 წ.; ხი, Ad-1057 – 1708 წ. (ქკმეის, გვ. 24–27); სცსსა, 1448, №1491 – 1708 წ.; სცსსა, 1449, №2476 – 1708–1716 წწ.; სცსსა, 1449, №1974 – 1710 წ. (ისტ. საბ. გვ. 21–22); სცსსა, 1449, №2010 – 1710 წ.; ხი, Ad-2203 – 1711 წ.; სცსსა, 1448, №1486 – 1711 წ.; სცსსა, 1449, №1975 – 1712 წ.; სცსსა, 1449, №2496 – 1713 წ.; ხი, Ad-782 – 1714 წ.; Ad-419 – 1748 წ. (იდის, I, გვ. 155); ხი, Ad-1099 – 1748 წ. (იდის, I, გვ. 154); სცსსა, 1449, №1972 – 1728 წ.; სცსსა, 1449, №1973 – 1749 წ.; ხი, Ad-2219 – 1749 წ.; სცსსა, 1449, №2014 – 1763 წ.; სცსსა, 1449 №2499 – 1779 წ.; სცსსა, 1449, №2503 1779 წ.; სცსსა, 1449, №1999 – 1788 წ.), ზოგჯერ კი საკუთრივ ღირსი მამის დასაკრძალავს (შდრ.: სცსსა, 1449 №1553 – 1582 წ. (ყმის შეწირულების წიგნი, მიცემული კათოლიკოს ნიკოლოზის მიერ დავით გარეჯის მონასტრისადმი – ქსძ, III, 344–346; ისტ. საბ. III, 73–81); სცსსა, 1449 №1555 - 1590 წ. (ყმის შეწირულების წიგნი, მიცემული სახლთუხუცეს იასონ ჭაეჭავაძის მიერ დავით გარეჯის მონასტრისათვის – ისტ. საბ. III, 82–83); ხი, Hd-1377 – 1597 წ. (წყალობის წიგნი, ბოძებული კახთა მეფე ალექსანდრე II-ის მიერ დავით გარეჯის მონასტრისადმი – ქრონიკები II, 429–230); სცსსა, 1449 №1860 – 1700 წ. (იალაღების შეწირულების წიგნი, მიცემული ერეკლე მეფის მიერ დავითგარეჯის მონასტრის წინამძღვარ ონოფრესათვის); ხი, Ad-341 – 1703 წ. (სანთლის შეწირულების წიგნი, ბოძებული ვახტანგ მეფის მიერ წმ. დავითის საფლავისათვის – ქკმეის, გვ. 15); ხი, Ad-1028 – 1704–1712 წწ. (შეწირულების წიგნი, ბოძებული წინამძღვარ ონოფრე მაჭუტაძის მიერ დავით გარეჯის მონასტრისადმი (ქსძ, III, 678–693); ხი, Ad-78 – 1715 წ. (ჯამაგრის წიგნი, ბოძებული კათოლიკოს დომენტი IV-ის მიერ დავით გარე-

მეტყველებს მ. საბინინის მითითება: „არა თუ აღწერა მათისა წმ. ცხოვრებისა დაკარგულ არს უდებობის გამოთ ქართუეწლთასა, არამედ წმ. სამარხონიცა მათი: წმ. ლუკიანესი სრულიად უპოვნელ...“.[80]

და მაინც, ერთგვარი მინიშნება წმ. ლუკიანეს განსასვენებლის თაობაზე მოიპოვება ზემოთ უკვე მოხმობილ საბუთში, რომელიც 1860-იან წლებში წმ. დავითის ლარნაკის განახლებას ეხება. ამ საბუთის მიხედვით ღირსი მამა ლუკიანეს საფლავი წმ. დავითის განსასვენებელთან მიჯრით, მის მარცხნივ იყო მოწყობილი („Как известно, гробница сия левою стороною своею образует ступень, которая [в] свою очередь, служит могильною плитоюпод которой погребен с преподобным Давидом св. Лукиан, сотрудник в подвижничестве и преемник его в настоятельтве обители“).[81] მართლაც, კარგადაა ცნობილი, რომ ღირსი მამა თავისი მოძღვრის, წმ. დავითის გვერდით დაუკრძალავთ. როგორც აღინიშნა, გადაკეთება-გაფართოვებამდე (IX ს.) გამოქვაბული დასაკრძალავი მცირე ზომის უნდა ყოფილიყო, სამხრეთით გახსნილი ღიობით. სავარაუდოა, რომ სამარხები საკურთხევლის ორსავე მხარეს იყო განთავსებული. დასაკრძა-

ჯის მონასტრისათვის – ქსძ. III, გვ. 697); ხი, Ad-1099 – 1748 წ. (შეწირულების წიგნი ოტია დადიანისა დავით გარეჯის მონასტრისადმი – იდის, I, გვ. 154); ხი, Ad-419 – 1748 წ. (სანთლის შეწირულების წიგნი, ბოძებული ოტია დადიანის მიერ დავით გარეჯის მონასტრისათვის – იდის, I, გვ. 155). იგივე სურათია ეპიგრაფიკულ მასალაშიც (შდრ.: სარგის არსლანის ძის 1352 წლის ოთხენოვანი წარწერა უდაბნოს მონასტრის სატრაპეზოში; XIV საუკუნის წარწერა უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიაში; იოანე ხუცესის 1467 წლის წარწერა უდაბნოს მონასტრის მთავარ ტაძარში; იოვანეს XV-XVI სს. წარწერა უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიაში; XVII ს. წარწერა უდაბნოს სატრაპეზოში; ნინოწმინდელ ნიკოლოზ ენდრონიკაშვილის 1673 წლის წარწერა უდაბნოს მონასტრის მთავარ ტაძარში – იხ. *გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები, ტ. I, ნაკვეთი 1 წმ. დავითის ლავრა, უდაბნოს მონასტერი (XI-XVIII სს.) გამოსაცემად მოამზადეს* დ. *კლდიაშვილმა* და *ზ. სხირტლაძემ* (თბილისი, 1999), გვ. 100-101, 116, 168-170, 270, 276-277, 371, ტაბ. 8, 15, 35). ნიშნეულია, რომ როგორც დოკუმენტებში, ისე მომლოცველთა წარწერებში არსადაა ნახსენები წმ. ლუკიანეს დასაკრძალავი.

80. მ. საბინინი, *საქართველოს სამოთხე*, გვ. 292.

81. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 500, საქმე 350.

ლავთა მსგავსი გეგმარება ტრადიციულია ქრისტიანულ აღმოსავლეთში;[82] დღეისათვის ცნობილი მასალის მიხედვით ამ მხრივ გამონაკლისს არც მრავალმთის სამონასტრო გაერთიანება წარმოადგენდა.[83]

წმ. დავითის ცხოვრებიდან ცნობილია, რომ *„ხოლო სამარხოჲ წმიდისა ლუკიანესი არს დამართებით წინა კერძო საკურთხეველისა“*.[84] ღირსი მამის ადგილი კიდევ უფრო დაზუსტებითაა მინიშნებული წმ. დავითის ცხოვრების მეტაფრასულ რედაქციაში, სადაც მითითებულია, რომ წმ. ილარიონ ქართველმა *„მერმეცა გარესკჳას ყოფასა მისსა სამხრით კერძო ეკლესიასა ამას შინა შექმნა ლარნაკი შუენიერი, რომელსა შინა აწ მდებარე არიან პატიოსანნი ნაწილნი წმიდისა მამისა დავითისნი, სადა გარეკერძო, დამართებით წმიდისა საკურთხეველისა, არს სამარხოჲ წმიდისა ლუკიანესი, რომელი მრავლად შეეწევის ყოველთა ჭირვეულთა, რომელნი სარწმუნოებით ევედრებიან მას...“*.[85]

---

82. ადრეული ხანის ჰიპოგეები სწორედ ამ პრინციპის მიხედვითაა შექმნილი (ცენტრალური ღერძის ორსავე მხარეს, საგანგებო უბეებში განთავსებული დასაკრძალავები) ამასთან მათ სხვადასხვაგვარი გეგმარება აქვთ, უმარტივესით დაწყებული და მრავალნაწილანით დამთავრებული. იხ. ადრეული სირიული ჰიპოგეები – Bamuqqa, Qutura, Dara, Mugleya, Sokhani, Tipasa (A. Grabar, *Martyrium*, გვ. 47, 103, 106, 107 და შემდ.; J. Lassus, დასახ. ნაშრომი, გვ. 118, სურ. 49; G. Tchalenko, *Villages antiques de la Syrie du Nord. La Massif du Belus a l'epoque remaine* (Paris, 1953), p. 117, 145ff., 183, 307; pl. LXI, XLIII, LXXXV, XCVIII). ამ რიგის დასაკრძალავების ზოგადი დახასიათებისა და ტიპოლოგიისათვის იხ.: Δ. Παλλας, Ὅι Χριστιανοὶ καμαρωτοὶ τάφοι: Καταγωγῆ καὶ λατρεύτικαι ιδέαι, *Ἀρχαιολόγικι Ἐφεμερίς*, 1937, σελ. 847-865; N. G. Laskaris, დასახ. ნაშრომი, გვ. 368–369. შდრ., აგრეთვე, ორნაწილიანი საძვალეები საკურთხევლის აქეთ-იქით: B. Brentjes, S. Mnazakanjan, N. Stepanjan, *Kunst des Mittelalters in Armenien (Berlin, 1981), p. 73-74, pl. 20* (აღცი); Д. Кипшидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 122–123, სურ. 52–53 (წაღკოცაძორი); А. Якобсон, *Раннесредневековый Херсонес* (Москва-Ленинград, 1959), с. 192-193, рис. 97 (ქერსონესი).

83. Z. Skhirtladze, Martyrs and Martyria in the Gareja Desert.

84. *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, წ. I, გვ. 237. ისე ჩანს, რომ ეს სამუშაო წმ. ილარიონს უნდა ჩაეტარებინა მისი საზღვარგარეთ მოგზაურობის შემდეგ (*„მერმეცა გარესკჳას ყოფასა მისსა“*).

85. *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, წ. III, გვ. 197.

2000 წლის ზაფხულშივე, წმ. დავით გარეჯელის განსასვენებლის გაწმენდის შემდგომ, წმ. ლუკიანეს განსასვენებლის მოსაძიებლად მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიაში გაიხსნა იატაკი ღირსი მამა დავით გარეჯელის ლარნაკსა და ეკლესიის ამჟამინდელ ამბიონს შორის (სურ. 39–44). ამ მონაკვეთზე თავდაპირველი (კლდეში ნაკაფი) იატაკი და მასზე მოგვიანოდ მოსხმული ნალესობა ხელუხლებელი აღმოჩნდა – სამარხის კვალი ტაძრის დარბაზის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთზე დადასტურებული არ ყოფილა. შესაბამისად, წმ. ლუკიანეს დასაკრძალავის არსებობა წმ. დავითის საფლავის ჩრდილოეთით დღეისათვის ნაკლებ საეჭვოდ ჩანს თუნდაც იმიტომ, რომ იგი წმ. დავითის ლუსკუმიდან ასე დაშორებით ვერ შეიქმნებოდა – სამარტვილეები და განსასვენებლები გარეჯსა და ქრისტიანული აღმოსავლეთის სამონასტრო გაერთიანებებში, როგორც წესი, მოკრძალებული ზომებისაა, მათში ორი ან მეტი განსასვენებლის არსებობისას ლუსკუმები ურთიერთის უშუალო სიახლოვესაა განთავსებული. ამგვარი გადაწყვეტის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოწმობა თავად მრავალმთაში მოიპოვება (პირუკულმა[86]).

სავარაუდოდ რჩება ორი ადგილი: არე ტაძრის ამბიონის ქვემოთ ან, – რაც უფრო სარწმუნო და მოსალოდნელია, – წმ. დავითის სამარხის სამხრეთით მიმდებარე მონაკვეთი. იგი ამჟამად მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიის სამხრეთი, ქვითა და აგურით ამოყვანილი, მასიური კედლის ქვეშაა მოქცეული. კედელი გვიანი შუა საუკუნეებისათვის ჩანს აგებული, ხოლო შემდეგ რამდენჯერმე (მათ შორის XIX საუკუნეშიც) განახლებული. გამორიცხული არ არის, რომ ღირსი მამა ლუკიანეს საფლავი კედლის გარეთ, მის უშუალო სიახლოვესაც იყოს.

ყოველივე ამაზე პასუხის გაცემა მხოლოდ მომავალში იქნება შესაძლებელი, სახელდობრ მას შემდეგ, რაც გაიხსნება უფლის ფერისცვალების ეკლესიის სამხრეთი კედელი, ან კედელთან გარედან მიმდებარე მონაკვეთი გაითხრება.

86. Z. Skhirtladze, Martyrs and Martyria in the Gareja Desert.

წმ. დავით გარეჯელის განსასვენებელში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის კატალოგი

1. ხის ფრაგმენტი (ინვ. № 5-994:4) – მუქი ყავისფერი, გამოფიტული, ძლიერ შლად მდგომარეობაში.

სიღრმე – 0,3 მ.

2. კრამიტის ფრაგმენტი (ინვ. № 5-994:6) – მოწითალო კეცით, ღარისებრი, არასრულად გამომწვარი. კეცის სისქე – 2 სმ.

სიღრმე – 0,3 მ.

3. დოქის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 5-994:7) – მოვარდისფრო, წვრილმინარევიანი კეცით, მობრტყელო ფორმის ყურის ნაშთით. ზედაპირზე შემორჩენილია წერნაქის კვალი.

სიღრმე – 0,45 მ.

4. კანდელის პატრუქის დასამაგრებელი სპილენძის ფირფიტა (ინვ. № 5-994:8) – შუაში ნახვრეტით. სიგრძე – 10,5 სმ; სიგანე – 1,6 სმ. სისქე – 0,5 მმ. კორო ზირებულია.

სიღრმე – 0,5 მ.

5. ბოთლის პირ-ყელისა და გვერდის (მხრის) ფრაგმენტი (ინვ. № 5-994:10) – მინის, თეთრი ფერის, გამჭვირვალე, სქელკედლიანი (სისქე – 0,3 სმ.), დაბალი ფორმის ყელითა და ქობიანი, ბრტყელ ბაკიანი პირით. ყელის სიმაღლე – 1,5 სმ; პირის დიამეტრი – 2,4 სმ.

სიღრმე – 0,5 მ.

6. ბოთლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 5-994:11) – მინის, თეთრი

ფერის, გამჭვირვალე, სქელკედლიანი (სისქე – 0,4 სმ).
სიღრმე – 0,9 მ.

7. **საფლავის ქვის ფრაგმენტი** (ინვ. № 5-994:12) – მარმარილო, თეთრი ფერის, ნაწილობრივ გადაჰკრავს ვარდისფერი ელფერი. ზედაპირზე შემორჩა კალიგრაფიული ხელით შესრულებული მხედრული წარწერის ორი სტრიქონის ფრაგმენტები:

[. . .]კმის[. . .]

[. . .]ეორ[. . .]

სიღრმე – 0,5 მ.

8. **დოქის ყური** (ინვ. № 5-994:13) – წვრილმინარევებიანი მოწითალო კეცით, განიკვეთში ოვალური ფორმის. ზედაპირი შიშველ კეცზე „შემკულია" მუქი ყავისფერი საღებავით დატანილი ორი ლაქითა და თარაზული ზოლით. გადავლებულია უფერო კრიალა ჭიქური.
სიღრმე – 0,95 მ.

9. **სარჭი** (ინვ. № 5-994:15) – რკინის, გვერდებდაკუთხული, კოროზირებული. წინა მხარე წაწვეტებულია, ხოლო ბოლო ნაწილი გაბრტყელებული აქვს, რომელზეც ორი სამანჭვლე ნახვრეტია გამოყვანილი. ერთერთში შემორჩენილია ჩაჭედილ-ჩაკანგული ლურსმანი. სიგრძე – 28,5 სმ.; კუთხოვანი ნაწილის სიგანე – 1,2 სმ.
სიღრმე – 1,1 მ.

10. **დოქის გვერდის ფრაგმენტები** (ინვ. № 5-994:16) – კარგად განლექილი მოვარდისფრო კეცით. სრულად გამომწვარი. ზედაპირი ნაპრიალებია – შეიმჩნევა გაცვილული ზოლების კვალი. კეცის სისქე – 0,5 სმ.
სიღრმე – 1,15 მ.

11. **ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი** (ინვ. № 5-994:17) – მინის, გამჭვირვალე, თხელკედლიანი (სისქე – 2 მმ). გადაშლილი პირითა და მაღალი, სადა ყელით. ძლიერი ირიზაციის გამო გადაჰკრავს მოლურჯო ელფერი.
სიღრმე – 1,2 მ.

12. **კანდელის ნაწილი** (ინვ. № 5-994:18) – სპილენძის, კოროზირებული. შედგება რომბული ფორმის, შუაში გახვრეტილი, ბრტყელი წინა ნაწილისაგან და მრგვალი, მავთულისებრი ფორმის ჩასამაგრებელი ბოლოსაგან. წინა

ნაწილის სიგრძე – 2 სმ, სიგანე – 1,3 სმ; სამაგრის სიგრძე – 1,5 სმ, d – 0,7 სმ; ნივთის საერთო სიგრძე – 3,5 სმ.

სიღრმე – 1,1 მ.

13. **ჯურჯლის გვერდისა და პირ-ყელის მცირე ფრაგმენტები** (ინვ. № 5-994:19) – მინის, თეთრი ფერის, გამჭვირვალე, თხელკედლიანი (სისქე – 0,3 მმ). ოდნავ შესქელებული, მომგვალებული პირით. ირიზებული.

სიღრმე – 1,15 მ.

14. **ჯურჯლის გვერდის მცირე ფრაგმენტები** (ინვ. № 5-994:20) – მინის, თეთრი ფერის, გამჭვირვალე, თხელკედლიანი (სისქე – 0,5 მმ). ირიზებული.

სიღრმე – 1,15 მ.

15. **ჯურჯლის გვერდის ფრაგმენტი** (ინვ. № 5-994:21) – მინის, თეთრი ფერის, გამჭვირვალე, თხელკედლიანი (სისქე – 0,5 მმ.). ირიზებული. ზედაპირზე ორნამენტად შემოუყვება რელიეფური სარტყელი.

სიღრმე – 1,1 მ.

შემოკლებები

იდის – შ. ბურჯანაძე, *ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770 წწ.)*, წ. I (თბილისი, 1958).

ისტ. საბ. – ს. კაკაბაძე, *ისტორიული საბუთები*, წ. I-V (1913).

სცსსა – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი.

ქკმეის – *ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ* (თბილისი, 1903).

ქრონიკები – *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ*, ტ. I (თბილისი, 1894), ტ. II (თბილისი, 1897), ტ. III (თბილისი, 1967).

ქსოის – *ქართულ-სპარსული ორენოვანი ისტორიული საბუთები (XVI-XVIII სს.), ტექსტი დაადგინა, თარგმანი, კომენტარი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნ. დუნდუამ* (თბილისი, 1984).

ქსძ – *ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II-VIII, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ* (თბილისი, 1965-1985).

ხი – კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი.

Центр по изучению Гареджи

Отдел Поиска и Охраны Святынь
Грузинской Патриархии

ЗАЗА СХИРТЛАДЗЕ

УСЫПАЛЬНИЦА СВ. ДАВИДА ГАРЕДЖЕЛИ

При участии
Кетеван Абашидзе, Теймураза Беридзе, Николоза Дадиани,
Мамуки Кикнадзе, Зураба Твалчрелидзе

Тбилиси
2006

Духовный центр Гареджийского Многогорья, церковь Преображения Господня с усыпальницей основателя монашеской жизни в Гареджи, св. Давида Гареджели, на протяжении столетий остаётся величайшей христианской святыней, одним из важнейших паломнических центров Христианского Кавказа.[1] Из Жития св. Давида известно, что церковь

1. Пустынь, основанная в середине VI века св. Давидом (память — в четверг на седьмой седмице после Пасхи), одним из тринадцати Сирийских Отцов, пришедших в Грузию под предводительством св. Иоанна Зедазнели, до XX столетия оставалась одним из крупнейших на Кавказе монастырских комплексов и духовно-культурных центров.

Гареджийское Многогорье лежит к юго-востоку от Тбилиси в исторической Кахети, в горных массивах, расположенных между протянувшимися к северу от реки Куры Гареджийскими горами и полупустынной нижней частью Иорского ущелья. Монастырская жизнь Многогорья ведет свое начало от монастыря, основанного обосновавшимися в маленькой пещере св. Давидом и его учениками, св. Додо и св. Лукианом. Впоследствии монастырь сильно разросся и получил название Лавры св. Давида. К XII-XIII векам количество монастырей Многогорья достигло двенадцати, что нашло отражение и в названии: "Двунадесятница Гареджийская". Впоследствии комплекс разросся еще более, вобрав себя окрестные монастыри и скиты. Открытия последних десятилетий позволили установить приблизительное число Гареджийских обителей: на сегодняшний день их свыше двух десятков. Как повествует Житие, паломничество св. Давида в Иерусалим стало основой традиции, по которой основанная Святым Отцом пустынь была наделена третью Иерусалимской благодати: тройное паломничество в монастыри Гареджи приравнивалось к

была создана еще при жизни Преподобного Отца (VI в.) по велению Руставского эристава, новообращённого Бубакара. Она находилась на противоположной стороне пещеры, расположенной в нижней части юж-

---

поломничеству в Иерусалим. Монастырский комплекс почитался как отмеченный особой благодатью, и на поклон могиле св. Давида шли богомольцы не только из Грузии, но и со всего Христианского Востока.

Агиографические, нарративные и документальные источники, наряду с эпиграфикой, материальными источниками и ктиторскими изображениями, отражают политические, культурные и социальные события, сопутствовавшие многовековому историческому развитию страны. Они свидетельствуют о непосредственной связи монастырей Гареджи с крупными религиозными очагами восточно-христианского мира, в частности, с Сирией, Палестиной и Византией, что способствовало поступательному развитию национальной культуры. Монастырская жизнь в Гареджи не прекращалась на протяжении столетий, менялись только её масштабы и, соответственно, планировка и архитектурные формы отдельных монастырей (см.: Г. Чубинашвили, *Пещерные монастыри Давид Гареджи* (Тбилиси, 1948); Ш. Амиранашвили, *История Грузинской монументальной живописи* (Тбилиси, 1957); Л. Менабде, *Дзвели картули мцерлобис кереби [Очаги древнегрузинской литературы]* (Тбилиси, 1962); М. Кавтария, *Давит гареджис литературули скола [Литературная школа Давид Гареджи]* (Тбилиси, 1965); Б. Ломинадзе, *Картули феодалури уртиертобис историидан [Из истории грузинских феодальных отношений]*, I (Тбилиси, 1966); М. Долакидзе, *Иларион картвелис цховребис дзвели редакциеби [Древние редакции жития Илларионa Картвели]* (Тбилиси, 1974); А. Вольская, *Росписи средневековых трапезных Грузии* (Тбилиси, 1974); Г. Алибегашвили, *Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи* (Тбилиси, 1979); З. Схиртладзе, *Сабереебис фрескули царцереби [Фресковая эпиграфика Сабереебы]* (Тбилиси, 1985); G. Abramishvili, The Painting of Bertubani Martyrium, *L'arte Georgiana dal IX al XIV secolo, Atti del terzo simposio internazionale sull'arte Georgiana*, I (Bari-Lecce, 1986), p. 199-203; Г. Гаприндашвили, *Гареджи* (Тбилиси, 1987); Г. Абрамишвили, *Давит гареджелис цикли картул кедлис мхатвробаши [Цикл Давида Гареджели в грузинской монументальной живописи]* (Тбилиси, 1972); Т. Шевякова, *Монументальная живопись раннего средневековья Грузии* (Тбилиси, 1983);

ного скалистого склона небольшой расселины горы Удабно, в которой подвизался святой:

„და ვითარცა ნათელ-იღო ბუბაქარ, კუალად მოვიდა წინაშე წმიდისა დავითისსა შვილი იგი ნათლისაჲ. და თანა მოატანნა სათხარნი და მუშაკნი და შეუქმნა ეკლესიაჲ სალოცველად ძმათა, რომელი-იგი უკუანაჲსკნელ წმიდამან და ღმერთ-შემოსილმან ილარიონ განავრცელა და აკურთხა, რომელსა შინა სამხრით კერძო ეკლესიასა მას შექმნა ლუსკუმაჲ შუენიერი, რომელსა შინა დაკრძალულ არიან ნაწილნი წმიდისა მამისა ჩუენისა დავითისნი. და ვიდრე აქამომდე სამარხოჲსა მისგან აღმოდის სული სურნელებისაჲ და ყოველთა, რომელთა სარწმუნოებით მიიღონ მტუერი სამარხოჲსა მისგან წმიდისა, ჰკურნებს ყოველსა სენსა და უძლურებასა კაცთასა“.[2]

А. Вольская, Росписи пещерных монастырей Давид Гареджи, в сб.: *Гареджи (Труды Кахетской археологической экспедиции, VIII)* (Тбилиси, 1988), с. 130-155; Z. Skhirtladze, Les portraits de l'église principale du monastère Natlismtsemeli à Garedja, *Зограф*, №23 (1993-1994), p. 5-14; *Преподобный Давид Гареджели и его святая Лавра*, Составлено по публикациям прежних лет О. Шведовым (Москва, 1996); *Гареджис епиграпикули дзеглеби, т. I/I, цм. Давитис лавра, Удабнос монастери (XI-XVIII сс.)*, Гамосацемад моамзадес Д. Кладиашвилма да З. Схиртладзем *[Эпиграфические памятники Гареджи, т. I/1, Лавра св. Давида, Монастырь Удабно (XI-XVIII вв.)*, Подготовили к изданию Д. Кладиашвили и З. Схиртладзе] (Тбилиси, 1999); З. Схиртладзе, *Историул пирта гамосахулебеби гареджис мравалмтис колагирис монастерши [Изображения исторических лиц в монастыре Колагири Гареджийского Многогорья]* (Тбилиси, 2000); Z. Skhirtladze, Newly discovered early paintings in the Gareja desert, in *A. Eastmond ed., Eastern Approaches to Byzantium (SPBS Publications, 9)* (Aldershot, 2001), p. 149-167; Z. Skhirtladze ed., *Desert Monasticism: Gareja and the Christian East, (Gareja Studies Centre, Proceedings, II)* (Tbilisi, 2001), p. 149-167.

2. Цхоребаи да мокалакобаи цмидиса мамиса чуениса давит гареджелисаи [Житие и деяния святого Отца нашего Давида Гареджели], *Дзвели картули агно-*

„И только окрестился Бубакар, предстал он пред Святым Давидом, сын крещёный, и привез с собой орудия для копания земли, привёл работников и создал церковь для молитвы братии, которую впоследствии расширил и благословил Святой и Богоносный Илларион, создавший внутри церкви в южной ее части прекрасную раку, где погребены мощи Святого Отца нашего Давида. И от его могилы и поныне исходит запах благовония, и каждый, кто с верой принимает пыль с гробницы святого, исцеляется от всякого недуга и немощи человеческой".

История усыпальницы св. Давида Гареджели неразрывно связана с жизнью Многогорья, пережившего на протяжении многих веков как времена возрождения и обновления, так и годы тяжелых испытаний. Для Лавры св. Давида и, в частности, самой могилы Преподобного Отца наиболее тяжёлыми оказались трагические события XX века: Лавра и могила её основателя были разорены и преданы забвению. Позднее, в 60-е годы XX века, во время проведения реставрационных работ, раку над могилой частично отстроили и оштукатурили бетонным раствором. В таком виде и дошла усыпальница св. Давида до наших дней.

С благословения Святейшего и Блаженнейшего Католикоса-Патриарха Всея Грузии Илии II Отделом Охраны и Поиска Святынь

грапиули литературис дзеглеби [Памятники древнегрузинской агиографической литературы], кн. I (V-X вв.), подготовили к изданию Ил. Абуладзе, Н. Атанелишвили, Н. Гогуадзе, Л. Каджая, Ц. Курцикидзе, Ц. Чанкиев и Ц. Джгамая, под руководством и редакцией Ил. Абуладзе (Тбилиси, 1963), с. 236. Древняя редакция Жития св. Давида, по всей вероятности, была написана Католикосом Грузии Арсением в X веке. Созданная на её основе метафрастическая редакция Жития принадлежит анонимному автору XII века. *(Дзвели картули агиографиули литературис дзеглеби [Памятники древнегрузинской агиографической литературы],* кн. V, подготовили к изданию Э. Габидзашвили и М. Кавтария (Тбилиси, 1963), с. 219-221).

Грузинской Патриархии было принято решение до начала работ по обновлению раки св. Давида Гареджели в церкви Преображения Господня произвести расчистку могилы Преподобного Отца. Необходимость расчистных работ стала очевидной, после того как была проверена устойчивость опорной основы для возложения на могилу новой каменной плиты. Помимо сугубо практических целей, работы имели также и большое научное значение: в частности, появилась реальная возможность путем сличения обнаруженных материалов с письменными источниками подтвердить некоторые свидетельства монастырских преданий о могиле св. Давида Гареджели, а также прояснить целый ряд кардинальных вопросов начального этапа монастырской жизни в Гареджийском Многогорье.

Вскрытие раки Преподобного Отца было начато 11 июня 2000 года. В связи с постом св. Апостолов Петра и Павла работы на некоторое время были прерваны и возобновлены 22 июля. Расчиска проводилась под непосредственным наблюдением руководителя археологической экспедиции пещерных монастырей Гареджи Зураба Твалчрелидзе. В работе также участвовали: члены Отдела Охраны и Поиска Святынь Теймураз Беридзе, Николоз Дадиани, Кетеван Абашидзе; сотрудники Центра по Изучению Гареджи Заза Схиртладзе и Мамука Кикнадзе. В работу непосредственно была вовлечена братия Лавры св. Давида, окормляемая Игуменом (ныне Епископом Сагареджойским и Ниноцминдским) Лукой. Рака была расчищена находящимся в то время в монастыре Протоиереем Петре (Барамидзе). Фотофиксацию проведённых работ осуществили Заза Схиртладзе и Николоз Дадиани; обмеры выполнил Мамука Кикнадзе; процесс расчистки заснял на видеопленку Николоз Дадиани. С позволения братии Лавры св. Давида часть вещественного материала, обнаруженного в раке, была перенесена в Тбилиси; в настоящее время материал хранится в фонде Государственного Музея Грузии (хранитель — Зураб Твалчрелидзе).[3]

---

3. Петрографический анализ фрагментов штукатурки, а также строительных слоев церкви Преображения был выполнен профессором Кафедры Мине-

Археологические работы, провёденные в церкви Преображения, выявили полное соответствие письменных источников и местных монастырских преданий.

* * *

